საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 208 (10294) | პარასკევი, 2 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ნათლად განსაზღვრა, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ყოველმხრივი განვითარების მთავარი, გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში — მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე დიდმა ლენინმა მოგვცა ფუძემდებელი მითითება იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების გაზრდა შეადგენს ახალი საზოგადოების ძირითად ამოცანას, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების აშენება. ვ. ი. ლენინის ეს მითითება წარმატებით ხორციელდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ომისშემდგომ წლებში, ისევე როგორც ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, შრომის ნაყოფიერება ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ იზრდებოდა და 1955 წელს იგი თითქმის ერთიორად გადააჭარბებს ომამდელ დონეს. ამის საფუძველზე მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი 1955 წელს 1940 წელთან შედარებით 90 და მეტი პროცენტით გაიზრდება.

ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა. მაგრამ საბჭოთა ხალხი მიღწეულით როდი კმაყოფილდება. თუ გავითვალისწინებთ მშრომელთა მატერიალური მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების ამოცანას, უნდა ვაღიაროთ, რომ შრომის ნაყოფიერების ახლანდელი დონე საკმარისი არ არის.

სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. მოწინავე ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები ახალ წარმატებებს აღწევენ ყრილობისათვის მზადების დღეებში. ბევრმა მათგანმა წარმატებით შეასრულა 8 თვის გეგმა და ახლა იბრძვიან წლიური საწარმოო გეგმების ვადამდე განაღდებისათვის. საქარხნო პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, დროულად შენიშნონ მუშაობის ნაკლოვანებანი და მიიღონ ოპერატიული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მოწინავე საწარმოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ სადაც პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ახორციელებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, სწორად ახამებენ პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას, იქ წარმატებით სრულდება საწარმოო გეგმები, ინერგება ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, განუხრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ამას ნათლად მოწმობს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მაგალითი. პარტიული ორგანიზაცია აქტიურად იბრძვის ქარხნის კოლექტივს საწარმოს შინაარეზერვების გამოძებნისა და სრულად გამოყენებისათვის, ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას. პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ქარხანაში დაინერგა ბევრი ტექნიკური სიახლე, რამაც გაადიდა პროდუქციის გამოშვება, გააუმჯობესა მისი ხარისხი და მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, ქარხანაში დაინერგა დეტალების მექანიკური დამუშავების ნაცვლად მანქანური ყალიბება, რომლის საშუალებითაც შემცირდა დეტალების მექანიკური დამუშავების დრო, სამნახევარჯერ გადიდდა მათი გამოშვება, 25 პროცენტით შემცირდა ლითონის ხარჯი, ამასთან ერთად მუშათა შრომის ნაყოფიერება გადიდდა 40 პროცენტით. საწარმოში სხვადასხვა დეტალი მზადდება ცივი დატვიფრვით მექანიკური დამუშავების ნაცვლად და ცხელი დატვიფრვით ჭედვის ნაცვლად. ამ გზით საწარმომ მიიღო 25 ათასი მანეთის ლითონის, საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომია. სამსხვნელო საამქროში დეტალების ჩამოსხმა ხდება მინიმალური ნამატით. ამის შედეგად ბევრად დაჩქარდა მათი მანქანური დამუშავება და 30 პროცენტით შემცირდა ლითონის ნარჩენები.

ქარხნის პარტიული ორგანიზაციის დახმარებით და აქტიური მხარდაჭერით ინჟინერ-ტექნიკოსებმა მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი შეიტანეს წნეხის კონსტრუქციისა და მათი დამზადების ტექნოლოგიაში. კერძოდ, წნეხს გაუკეთეს სპეციალური სამარჯვი, რომელიც იძლევა არა მარტო ყურძნის, არამედ აგრეთვე ხილისა და კენჭის დაწურვის საშუალებას. გამარტივებულია მართვის მექანიზმები, აამარავის ნაცვლად წნეხში ჩამონტაჟებულია ელექტრომოტორი. დეტალების დამუშავების პროგრესული მეთოდების დანერგვამ, მანქანების კონსტრუქციების გამარტივებამ და გაუმჯობესებამ ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა 20 პროცენტით გაადიდოს წელს პროდუქციის გამოშვება შარშანდელთან შედარებით.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ყიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. იგი აქტიურად იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის, დროულად შენიშნავს ყოველივე ახალს, პროგრესულს და ხელს უწყობს მათს დანერგვას წარმოებაში. ყოველივე ამის შედეგად საწარმოს კოლექტივმა პირველი სექტემბრისათვის შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლედის განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება გაზარდა 50 პროცენტით.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების პარტიულ ორგანიზაციებს შრომის ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში აკლიათ მიზანდასახულობა და კონკრეტულობა. მთავარი ნაკლი ის არის, რომ ისინი ღრმად ვერ სწვდებიან საწარმოთა ეკონომიკას, ურიგდებიან ნაკლოვანებებს, მხედველობიდან უშვებენ წარმოების ძირეულ საკითხებს, ნაკლებად ზრუნავენ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის. ასეთი ნაკლოვანებებია, მაგალითად, ქარხნების — „დაზგისა“ და „მანქანათდეტალის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, რომლებიც ჯეროვნად არ ზრუნავენ ტექნიკური პროგრესისათვის, დეტალების დამუშავების გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვისათვის. ამის გამო ამ საწარმოებში არ სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სწრაფად აღმოფხვრან მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების გადიდებას თვითეულ საწარმოო უბანზე, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები მთელმა საბჭოთა ხალხმა მიიღო როგორც მოქმედების სწორძოლო პროგრამა. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მზარდ აქტივობას, უფრო ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად და ამ საფუძველზე ახალ წარმატებებს მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში, სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში

1 სექტემბერს ორი თვის შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა. ფილიალის ექსპოზიცია გაფართოვდა და გამდიდრდა ახალი დოკუმენტებითა და მხატვრული ტილოებით. ახალ ჩარჩოებში გაფორმებულია მხატვრული სურათები, ლენინის შრომები და ხელნაწერები.

მუზეუმის დარბაზი შეივსო ახალი მხატვრული ტილოთი, რომელიც ასახავს ლენინის გმირულს ნაოდნიკ ვ. ვ. ვორონცოვის წინააღმდეგ.

ამავე დარბაზში გამოფენილია ასევე მხატვარ კ. ვ. მორავოვის სურათისა „ლენინი ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატების თათბირს ქ. უფაში“.

ლენინის მუზეუმი შეივსო მხატვრული სურათებით, რომლებიც ასახავენ მასებთან ლენინის მუშაობას, მის მჭიდრო კავშირს მუშათა კლასთან.

მუზეუმის ერთ-ერთ ნათელ კედელზე გამოფენილია ა. ვ. მორავოვის სურათის ასლი „ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში 1917 წ. 3 აპრილს“. ამავე დარბაზში ყურადღებას იპყრობს ასევე მხატვარ ი. ი. ბროდსკის სურათისა „ლენინის გამოსვლა პუტილოვის ქარხანაში მიტინგზე 1917 წლის მაისში“. მუზეუმში ბევრია ახალი მხატვრული რუკები. ძირეულად გადაკეთდა სამგლოვიარო დარბაზი. წითელ საკვირველ ამოქარგულია სტალინის უკვდავი ფიცი, რომელიც მან წარმოთქვა პარტიის სახელით ლენინის გლოვის დღეებში საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობაზე 1924 წ. 26 იანვარს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს

ამხანაგ ხო ში მინს

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

ამხანაგ ფამ ვან დონგს

ხანოი

გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ვიეტნამელ ხალხს ვიეტნამის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-10 წლისთავს. ვუსურვებთ ვიეტნამელ ხალხს ახალ წარმატებებს მის ბრძოლაში ეკონომიკის, კულტურის განვითარებისათვის და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ვიეტნამის ყველა დემოკრატიული ორგანიზაცია კვლავაც მტკიცედ და თანმიმდევრულად დაიცავენ პოლიტიკას, რომლის მიზანია ვიეტნამის გაერთიანება ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად, მთელი ვიეტნამელი ხალხის ინტერესებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ვიეტნამელი და საბჭოთა ხალხების საკეთილდღეოდ, აზიისა და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მოლოტოვი.

მოსკოვი, 1955 წლის 1 სექტემბერი.

დარბაზობა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

31 აგვისტოს იუგოსლავიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში დ. ვიდიჩმა დარბაზობა გამართა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში იმყოფებიან იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ს. ვუკმანოვიჩ-ტემპო და იუგოსლავიის ეკონომიური დელეგაციის წევრები.

დარბაზობას დაესწრნენ იუგოსლავიის ეკონომიური დელეგაციის მეთაური ს. ვუკმანოვიჩ-ტემპო, დელეგაციის წევრები: ხ. ბრკიჩი, ნ. პოპოვიჩი, ვ. საიჩიჩი, ე. შალამონი, ვ. რადოეკიჩი, მ. ბოჟიჩი და პ. კოსტიჩი, იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს სრულუფლებიანი მინისტრი დ. ჯურიჩი — ხელმძღვანელი იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციისა, რომელიც ჩამოვიდა იმის თაობაზე მოსალაპარაკებლად, რომ დაიდოს შეთანხმება სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

დარბაზობას დაესწრნენ ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრი პ. ფ. ლომაკო, ქიმიური მრეწველობის მინისტრი ს. ზ. ტიხომიროვი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი ა. გ. შერემეტიევი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ფ. პოპოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ვ. ნიკიტინი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. პ. კოსაჩენკო, ქიმიური მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ტ. ბ. მატროხინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუზიკინი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დ. დ. დეგტიარი, ცენტროსოიუზის თავმჯდომარე ა. პ. კლიმოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ა. სმელოვი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრები ფ. პ. ბისტროვი და მ. გ. ლომაკოვი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სოფლმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-4 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ფ. ნიკოლაევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იუგოსლავიაში ი. ი. კრასიუკი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს პასუხისმგებელი თანამშრომელი მ. ა. სერგეიჩკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობას დაესწრნენ მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები.

დარბაზობამ მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვ. ლორიდანმა რწმუნებების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ა. სარიევს

31 აგვისტოს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. სარიევმა მიიღო ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. ლორიდანი, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ელჩს ახლდნენ მრჩეველი ა. ფორტომი, მეორე მდივანი ე. დეკასტიოჰიუგო, ატაშეები მ. რუსო და ნ. რეინჰარდტი, რომლებიც ელჩმა ა. სარიევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სოფლმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის 1-ლი განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ს. ს. მიხაილოვი.

ა. სარიევმა და ელჩმა ვ. ლორიდანმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ელჩმა ვ. ლორიდანმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა თავის ქვეყანას წარმოადგენდეს საბჭოთა კავშირში იმ მომენტში, როცა, სახელმწიფო მოღვაწეთა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა ღონისძიებების მეოხებით, მოხდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და შეიქმნა ხელსაყრელი ატმოსფერო დიდი საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად.

ჩემი ქვეყნის მთავრობა და ხალხი, თქვა ელჩმა, აღფრთოვანებული არიან სურვილით შეინარჩუნონ კეთილი თანხმობის ურთიერთობა, რაც საბჭოთა კავშირსა და ბელგიას შორის არსებობს.

შემდეგ ელჩი მიესალმა ბელგიის პარლამენტის დელეგაციის მომავალ მგზავრობას საბჭოთა კავშირში. ელჩმა აღნიშნა, რომ ასეთი კონტაქტი პოლიტიკურ, სავაჭრო და კულტურულ დარგებში უფრო ხშირი ხდება, და რწმენა გამოთქვა, რომ მისი მეცადინეობა იმისათვის, რომ გაამრავლოს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი ორი ქვეყნის დაახლოებას, საჭირო მხარდაჭერას ჰპოვებენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა ხელისუფლების მხრივ.

დასასრულ ელჩმა ბელგიის მეფისა და ბელგიელი ხალხის სახელით გულწრფელად უსურვა კეთილდღეობა და აყვავება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებსა და მთელ საბჭოთა ხალხს.

ა. სარიევმა საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა ელჩს კეთილი სურვილებისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში საბჭოთა კავშირის როლის აღიარებისათვის.

საბჭოთა მთავრობა, თქვა ა. სარიევმა, ახორციელებს თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ამასთან იგი ემყარება სხვადასხვა საზოგადოებრივი და ეკონომიური სისტემების მქონე სახელმწიფოთა ხანგრძლივ მშვიდობიან თანაარსებობას და ემხრობა ხალხთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას და, კერძოდ, ასეთი ურთიერთობის გაფართოებას საბჭოთა ხალხსა და ბელგიელ ხალხს შორის.

თქვენს განცხადებას, თქვა შემდეგ ა. სარიევმა, რომ ბელგიის მთავრობა და ხალხი აღფრთოვანებული არიან სურვილით — შეინარჩუნონ კეთილი თანხმობის ურთიერთობა, რაც საბჭოთა კავშირსა და ბელგიას შორის არსებობს, ჩვენს ქვეყანაში დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან.

მე სავსებით ვიზიარებ თქვენს თვალსაზრისს, განაგრძო ა. სარიევმა, რომ ბელგიის პარლამენტის დელეგაციის მომავალი მგზავრობა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხისა და ბელგიელი ხალხის უკეთეს ურთიერთგაგებასა და მეგობრობას.

ა. სარიევმა აღუთქვა ვ. ლორიდანს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა მას ყოველი ღონისძიებით დაუჭერენ მხარს და შეუწყობენ ხელს მის მოღვაწეობას, მიმართულს საბჭოთა ხალხისა და ბელგიელი ხალხის დაახლოებისაკენ, და უსურვა ბელგიის მეფეს, მთავრობასა და ბელგიელ ხალხს სრული კეთილდღეობა, ხოლო ვ. ლორიდანს — წარმატებანი მის მოღვაწეობაში ბელგიის ელჩის პოსტზე სსრ კავშირში.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ა. სარიევს საუბარი ჰქონდა ვ. ლორიდანთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ვ. ა. ზორინმა და ა. თ. გორკინმა.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი

★

უმაღლეს სასწავლებლებში

1 სექტემბერს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კარი პირველად შეაღო 1.000-მდე ქალაქელმა და ჰაბუკმა. ინსტიტუტის მთელ რიგ ფაკულტეტებზე გაიხსნა ახალი განყოფილებანი — ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის, სამკერვალო და პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიის, სამრეწველო თბოენერგეტიკის და სხვა განყოფილებანი.

ამ დღეს პირველად დაიკავა ადგილები სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებში 732 პირველკურსელმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები სასწავლო წელს იწყებენ ახალ შენობაში, სადაც არის კარგად მოწყობილი აუდიტორიები, კაბინეტები, ტანვარჯიშის დიდი დარბაზი.

საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში გაიხსნა ახალი აუდიტორიები, ზოოლოგიისა და ანატომიის მუზეუმი, მეცხოველეობის დარგში მეცნიერების მიღწევათა კაბინეტი.

ნანატრი დილა

ბათუმი. (საკ. კორ.). ახალი სასწავლო წლის დაწყება დიდი დღესასწაული იყო მოსწავლეებისათვის. ჯერ კიდევ სწავლის დაწყების წინადღეს ლენინის სახელობის პიონერთა პარკში გაიმართა პიონერთა და მოსწავლეთა დიდი ზეიმი, მიძღვნილი ახალი სასწავლო წლისადმი. პარკის ფიზკულტურულ-სასპორტო მოედნებზე მოეწყო ნორჩ სპორტსმენთა ამხანაგური შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. პიონერთა პარკის ტბის ცისფერ ზედაპირზე განუწყვეტლივ სრიალებდნენ იალქნიანი ნავები, კატერები და თბომავალი „პიონერი“, რომელსაც თვით პიონერები მართავენ.

საღამოთი პარკის მწვანე თეატრში შედგა მოსწავლეთა საზეიმო კრება.

1 სექტემბერს ბათუმის სკოლების კარები ფართოდ გაიღო ბედნიერი საბჭოთა ბავშვებისათვის. ქალაქის 21 სკოლაში სწავლის პირველ დღეს 15.000-მდე ბავშვი გამოცხადდა.

ორგანიზებულად დაიწყო სწავლა ნინოშვილის სახელობის მე-14 საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. დარჩია). დილით ადრე უფროსის ამხანაგებთან ერთად აქ 42 პირველკლასელი მოვიდა. მათ მშობლიური სიყვარულით შეხვდნენ სკოლის მასწავლებლები.

წელს აჭარის ასს რესპუბლიკის 377 სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი 44.500-ს გადააჭარბებს.

სწავლის დაწყების პირველი დღე. **სურათზე:** ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-3 კლასში. გაკვეთილს ატარებს მასწავლებელი ნ. სიხარულიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკოლამ მშობლიურად გააღო კარი...

დილის 8 საათზე სტალინის სახელობის თბილისის პირველი საშუალო სკოლის ეზო უკვე სავსე იყო მოსწავლეებითა და მათი მშობლებით. მოსწავლეები სიხარულით ხვდებოდნენ ერთმანეთს.

სკოლამ მშობლიურად გაუღო კარი თავის ნორჩ აღსაზრდელებს. დგერ ახალგაზრდა დედებს ხელჩაკიდებული მოჰყავთ პატარები, რომლებმაც პირველად უნდა დაიწყონ სწავლა...

სწავლის დაწყების პირველი დღე ზეიმით აღინიშნა. ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ მიტინგზე მოვიდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები.

„სალამი პირველკლასელებს“, „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!“. პატარა სტუმრებს მშობლიური სიყვარულით ეგებებიან მასწავლებლები.

ბავშვებს, რომლებიც ზეიმით აღნიშნავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, სტუმრად ეწვივნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მშობელთა კომიტეტის წევრები.

ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ტრადიციული საზეიმო შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა და მუშაკები. მიტინგი გახსნა სკოლის დირექტორმა ნ. კიკვაძემ.

დაირეკა ზარი. მოსწავლეები შეყოდნენ ნათელ და ფართო ოთახებში. დაიწყო ნაყოფიერი სწავლის დღე. 135 ბავშვი პირველად მიუჯდა მერხს.

XI[1] კლასში ფიზიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა გ. სანაძემ მოსწავლეებს მექანიკიდან გაამეორებინა ის მასალა, რომელიც ელექტრობის პირველი გაკვეთილებისათვის არის საჭირო.

სკოლა კარგად მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის. შენობას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, შეძენილ იქნა დიდძალი სასკოლო ინვენტარი — მერხები, შაგიდები, დაფები, კარადები, სკამები, მოეწყო ცენტრალური გათბობა, რაზეც 810 ათასი მანეთი დაიხარჯა. მოეწყო ფიზიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ლაბორატორიები და სხვ.

პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის ორი ოთახი გამოყოფილია სასწავლო სახელოსნოს მოსაწყობად. ერთში იწარმოებს თეორიული მუშაობა, ხოლო მეორეში მოთავსდება სახელოსნო.

★

ახალი ამოცანები

თბილისის 24-ე საშუალო სკოლა დროულად მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის. სკოლის შენობის კაპიტალური რემონტი 15 აგვისტოს დამთავრდა. შენობის რეკონსტრუქციის შედეგად სკოლას შეემატა ფიზკულტურის დიდი დარბაზი, ნათელი ოთახი ბიბლიოთეკისათვის, სამუშაო ოთახები პიონერთა ორგანიზაციის, ექიმის კაბინეტის, სახელოსნოსა და კანცელარიისათვის და სხვ.

საკმაო რაოდენობით შეეძინეთ თვალსაჩინო მასალები ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების შესავსებად. სკოლა უზრუნველყოფილია კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით.

ახალი სასწავლო წლის პირველი დღე ჩვენს სკოლაში ორგანიზებულად დაიწყო. პედაგოგიურ კოლექტივს ღრმად ფქვს შეგნებული მის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები, რომლებიც დასახულია ახალი სასწავლო გეგმითა და პროგრამებით, ათწლიან სწავლებაზე გადასვლით. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას, განვამტკიცოთ კავშირი წარმოებასთან, რათა მოსწავლეებს საშუალო განათლებასთან ერთად მივცეთ განსაზღვრული სპეციალობაც.

ვ. ქოგულაძე,
თბილისის 24-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

მეტალურგთა ქალაქში

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი ზეიმით შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის სკოლები.

1 სექტემბერს, სწავლის დაწყებამდე ბევრად ადრე, სკოლებში შეიკრიბნენ სიხარულით თვალებგაბრწყინებული მოსწავლეები. მე-10 საშუალო სკოლაში უფროს ამხანაგებთან ერთად მოვიდა 90-მდე პირველკლასელი.

სასკოლო ზარი აიწკრიალა პირველკლასელმა გოგონამ ნ. მენთეშაშვილმა. ყველანი გაემართნენ საკლასო ოთახებისაკენ...

მოკრძალებით შეაღო მე-15 საშუალო სკოლის კარი 7 წლის ცირა ბედიანაშვილმა. ის აქ მოაცილეს მამამ — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს ორთქლმავლის მემანქანემ ნ. ბედიანაშვილმა და დედამ მ. კენჭაძემ. მალე ისინი თვითონაც სკოლისაკენ გაეშურნენ — 1 სექტემბერს რუსთავში გაიხსნა თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის ფილიალი. ნ. ბედიანაშვილი და მ. კენჭაძე ამ ფილიალის სტუდენტები არიან.

3. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში



სასიხარულო შეკრება

გუშინ, პირველ სექტემბერს, დაიწყო ახალი სასწავლო წელი. საბჭოთა საქართველოს ბედნიერი ახალგაზრდობა წარმტაცი და შინაარსიანი დასვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას.

თბილისის ქუჩები აივსო მოსწავლეებით. სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს სკოლის ამხანაგებს.

... დილის 8 საათზე 43-ე რუსული საშუალო სკოლის ეზოში უკვე ათასამდე ბავშვს მოუყოლია თავი.

საზეიმოდ ორთუღი სკოლის შესასვლელში გაკრულია ლოზუნგები: „ბედნიერი ახალგაზრდობა — ბოლშევიზმის ციხესიმაგრეს!“, „ბედნიერ ბავშვობას — ბედნიერ მომავალს!“, „ბედნიერ ბავშვობას — ბედნიერ ოჯახს!“.

ეზოში ბევრი ხალხია. ბავშვებს ეგებებიან მასწავლებლები, ეგებებიან ოჯახის წევრები, ბებიები, ბაბუები, ნათესავები, ეგებებიან ბავშვებს ეზოს ბოლოში ჩამოსული ავტომობილებიდან ჩამოსულ ბავშვებს ეგებებიან

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები საწარმოს რიტმული მუშაობისათვის ბრძოლაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა განუწყვეტლივ იბრძოლონ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, რიტმული მუშაობის მტკიცედ დანერგვისათვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაცია.

წინათ დეპოში ხშირი იყო ისეთი დღეები, როცა თვის გეგმის შესასრულებლად განსაკუთრებული ფუსფუსი, ხმაური და „იერიში“ იწყებოდა. ამასთან ერთად ნაკლები ყურადღება ექცეოდა მოწინავე ტექნიკის დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებს. იშვიათად იწვევდნენ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას. საამქროთა პარტიული ორგანიზაციები არასაკმაოდ ზრუნავდნენ მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის.

კომუნისტებმა უპარტიო აქტივისტებთან ერთად მეიმუშავეს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა პრაქტიკულად განხორციელება დიდად გაზრდის საწარმოს მუშაობის ტემპს, აამაღლებს პროდუქციის ხარისხს.

ღია პარტიულ კრებაზე, საწარმოო თათბირებზე, საამქროებსა და ბრიგადებში განხილულ იქნა ტექნიკური პროგრესის შემდგომი აღმავლობისა და საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულების საკითხები. კამათში სიტყვით გამოსულები მოურიდებლად აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს, მთავარ ყურადღებას აქცევდნენ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას.

საწარმოში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ კარგი შედეგი გამოიღო. დეპოელებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა, გადაიყვანეს ასობით მძიმე წონის მატარებელი, გეგმის გადამეტებით გადაზიდეს ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, დაზოგეს საწვავი მასალა. თბილისელი მეორთქლმავლეები უკვე რამდენიმე თვეა ზედიზედ იმარჯვებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მტკიცედ ინარჩუნებენ პირველ ადგილს.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას. პარტიის XX ყრილობის შესახვედრად დეპოელებმა იკისრეს აწევითი შეკეთებიდან გამოუშვან 4 ორთქლმავალი, გარეცხვითი შეკეთებიდან 40 ორთქლმავალი, რემონტთაშორისი გარბენა ნორმით გათვალისწინებული 70 ათასი კილომეტრის ნაცვლად აიყვანონ 125 ათასი კილომეტრამდე, გასწორონ სათბობის ეკონომია.

მეხუთე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში რიტმული მუშაობის მაგალითს იძლევიან საგამრეცხო საამქროს კომუნისტები. ამ საამქროს კომუნისტებმა დეპოში პირველებმა უზრუნველყვეს მუშაობაში ეერიშობანას მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა. ისინი მტკიცედ იცავენ ყოველდღიურ გრაფიკს.

საქვაბე საამქროს მოწინავე ოსტატი კომუნისტი პ. აბრამია ამჩნევდა, რომ საალე და საკვამლე მილებისათვის საჭირო თიხაბერის რგოლები ხმარების შემდეგ გამოუყენებელი რჩებოდა.

— მე ვფიქრობ ამ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება,—უთხრა მან პარტკომის მდივანს დ. კვარაცხელიას და თავისი მოსაზრება გაუზიარა. პ. აბრამიამ დაწვრილებით შეისწავლა საწარმოო პროცესი, მოეთათბირა ინჟინრებს და ბოლოს თავისი წინადადება წამოაყენა. ამჟამად საამქროში ხდება საალე და საკვამლე მილების თიხაბერის რგოლების აღდგენა, რაც დიდ ეკონომიას იძლევა. კომუნისტ პ. აბრამიას რაციონალიზატორული წინადადება მარტო თბილისის საორთქლმავლო დეპოში როდი ხორციელდება. იგი ფართოდ ინერგება ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოებში.

ამწეების შემკეთებელი საამქროს ბრიგადირმა კომუნისტმა ბ. ჭუმბურიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საწარმოს რიტმული მუშაობის განმტკიცების საქმეში. წინათ ხშირად ფერხდებოდა ორთქლმავლის დგუშის გამოწნეხვა. ბ. ჭუმბურიძემ შეისწავლა ეს მდგომარეობა და ამ საკითხზე არსებული ლიტერატურა. ის ხშირი სტუმარი გახდა თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა, სადაც ესაუბრებოდა მეცნიერ მუშაკებს, საჭირო რჩევა-დარიგებას იღებდა მათგან. ბოლოს ბ. ჭუმბურიძემ შეიმუშავა სპეციალური წნეხის პროექტი. პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა ამ გამოგონების შესახებ და მხარი დაუჭირა მას. მალე საამქროში დაიდგა ბ. ჭუმბურიძის მიერ გამოგონებული წნეხი, რომელიც დიდად აჩქარებს დგუშების ხარისხოვნად გამოწნეხვას და იძლევა დიდ ეკონომიას. ამ გამოგონებას ახლა ფართოდ იყენებენ ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოებში.

საწარმოს რიტმულ მუშაობას ხელი შეუწყო კომუნისტ ს. აფონჩენკოს მიერ გაუმჯობესებული საჭრისების გამოგონებამ, რითაც დაჩქარდა ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური დამუშავება. ს. აფონჩენკო მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ნოვატორი ოსტატია.

კომუნისტები საქმით და სიტყვით დაუღალავად ეწევიან შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდას. წარჩინებულმა ზეინკალმა კომუნისტმა ბ. ხმიადაშვილმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინა ორთქლმავლის შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი. იგი ყოველდღიურ ნორმას სამმაგად ასრულებს, ამასთან გამოშვებული პროდუქციის ხარისხი სამაგალითოა. აგიტატორები ფართოდ აერცელებენ ბ. ხმიადაშვილის გამოცდილებას, დეპოელების საერთო კუთვნილებად აქცევენ მას.

საღღეღამისო გრაფიკის მტკიცედ განხორციელების საქმეში დაწინაურებულთა გამოცდილება ინერგება საწარმოს ყველა უბანზე. ამას წინათ ღია პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა რიტმული მუშაობის საკითხი. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი გამომეღვიძებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

მთავარი ძალა, რომელიც ამრავლებს შრომის ახალ, პროგრესულ ნორმებს — ეს არის სოციალისტური შეჯიბრება. საორთქლმავლო დეპოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველა ღონისძიებას ახორციელებენ სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობისათვის.

ა. გოცირიძე.

აგიტპუნქტი მეცხოველეობის ფერმაში

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ახაშნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმასთან ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს აგიტპუნქტი. კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ აგიტპუნქტი უზრუნველყო ჟურნალ-გაზეთებით, აგრეთვე რუკებით, დიაგრამებითა და პლაკატებით. შეძენილია ბევრი საინტერესო ბროშურა მეცხოველეობის საკითხებზე.

აგიტპუნქტი ფერმის მუშაკთა საყვარელი ადგილია. აქ სისტემატიურად იმართება აგიტატორთა საუბრები, ეწყობა რადიოს კოლექტიური მოსმენა. მეცხოველეები ხშირად ისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება რაიკომის გიუროზე

წალენჯიხა. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიუროს მოისმინა სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ვ. ლუკაკის მოხსენება. აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ კოლმეურნეობამ მკვეთრად გააუმჯობესა მუშობა. დიდი გადაჭარბებით სრულდება ჩაის ფოთლის კრეფის ყოველთვიური გეგმები. ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რასაც ხელი შეუწყო საკვები ბაზის განმტკიცებამ და პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებამ. აგებულია ახალი სადგომები. წარმატებით მიმდინარეობს საკვების დასილოსება.

ამასთან ერთად რაიკომის ბიუროს გამოამეჟღავნა კოლმეურნეობის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ბიუროს დაავალა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას გააძლიეროს კომუნისტების მთორგანიზებელი როლი საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დავაჩქაროთ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა“

„კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით „დავაჩქაროთ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თიანეთის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჭიანურდება სასილოსე ტრანშეების მშენებლობა.

საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. დ. გონჯილაშვილი რედაქციას ატყობინებს: რაიკომის ბიუროს განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის ტემპების გასაძლიერებლად. ამჟამად დამთავრებულია 3.225 ტონის ტევადობის 23 ტრანშეის და 3 სასილოსე ორმოს მშენებლობა. ამ დღეებში დამთავრდება 1.775 ტონის ტევადობის 16 ტრანშეის და 2 ორმოს მშენებლობა.



სურათზე: ლანჩხუთის პირველი ჩაის ფაბრიკის საერთო ხედი.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

თბილისელ ჩარხმშენებელთა დიდი საწარმოო გამარჯვება

ს. კიროვის სახელობის ქარხანამ ხუთწლიანი გეგმა შეასრულა

სასიხარულო ამბავი სწრაფად მოედო თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ყველა კუთხეს.

— ჩარხმშენებლებმა ვადამდე — ოთხი თვით ადრე გაანაღდეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება!

ეს დიდი საწარმოო გამარჯვება მოპოვებულია წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა, მუშათა და მოსამსახურეთა, ოსტატთა და საამქროების უფროსთა, ტექნოლოგთა და კონსტრუქტორთა — მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად.

კიროველთა წარმატებები უზრუნველყო ორგანიზაციულ-ტექნიკურმა ღონისძიებებმა, რომლებიც სისტემატურად ხორციელდებოდა ქარხანაში. განსაკუთრებული როლი შეასრულა სრულყოფილი ტექნიკის დანერგვამ, ახალი ჩარხებისა და მოწყობილობების გამართვამ, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციამ და სხვ.

ჩარხმშენებლებმა, ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება, მიმდინარე წლის დასაწყისიდან რამდენჯერმე გადასინჯეს თავიანთი ვალდებულებანი. ჯერ კიდევ თებერვალში მათ იკისრეს ხუთწლიანი გეგმა შეესრულებინათ დიდი ოქტომბრის 38-ე წლისთავისათვის. შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად და პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ახალი რეზერვები გამონახეს და გადაწყვიტეს ეს ვადა კიდევ ერთი თვით გადმოეწიათ, ხუთწლედი დაემთავრებინათ პირველი სექტემბრისათვის.

ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს.

სახელმწიფოს მიერ ქარხნისათვის დაწესებული ხუთწლიანი გეგმით ჩარხების გამოშვება უნდა გადიდებულიყო 96,5 პროცენტით, საერთო პროდუქციის დამზადება — 53 პროცენტით. უკვე 27 აგვისტოს ჩარხმშენებლებმა უკანასკნელი ჩარხი გამოუშვეს ხუთწლედის დავალებათა ანგარიშში, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება თვის დამლევს შეასრულეს. 1950-55 წლებში ქარხანამ აითვისა ახალი კონსტრუქციის 40 ლითონსაჭრელი ჩარხი. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 50 პროცენტით, ხოლო ძირითადი სერიული წარმოების სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხზე (1დ63ა) თვითღირებულება შემცირდა 36 პროცენტით. ჩარხმშენებლებმა სახელმწიფოს მისცეს 42.622 ათასი მანეთი მოგება.

ქარხნის კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ ასეთივე წარმატებით გაანაღდოს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ახალი ვალდებულებები — მიმდინარე წლის დავალება 21 დეკემბრისათვის შეასრულოს, გეგმის გადამეტებით გამოუშვას ათობით ჩარხი, გასწიოს 220 ათასი მანეთის მასალებისა და იარაღების ეკონომია და სხვ.

გუშინ, სასადილო შესვენების დროს, კლუბში მიტინგი გაიმართა. ინფორმაცია გააკეთა ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. კიზიავიმ. მან მიულოცა კოლექტივს დიდი საწარმოო გამარჯვება და განაცხადა:

—მეექვსე ხუთწლედის მიჯნაზე ჩვენ თამამად შეგვიძლია პირობა მივცეთ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ თბილისელი ჩარხმშენებლები ღირსეულად შეასრულებენ ახალ ამოცანას — შემდგომ გაზრდიან წარმოების ტემპებს, დანერგავენ ახალ ტექნიკას, გააუმჯობესებენ ჩარხების ხარისხს და აამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას.

გაიხსნა რკინიგზის ახალი სამგზავრო სადგური

ტყიბული. (საკ. კორ.). 1 სექტემბერს ტყიბულელ მეშახტეებს დიდი ზეიმი ჰქონდათ. ამ დღეს ნაშუადღევის 4 საათზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა რკინიგზის ტყიბულის ახალი სამგზავრო სადგური და ვაგზლის შენობა, რომელიც საუკეთესოდ არის კეთილმოწყობილი.

სადგურისა და ვაგზლის შენობის გახსნას მრავალი ათასი ტყიბულელი მშრომელი დაესწრო.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობა

შესაბამისად დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებისა, რომელიც ძალაში შევიდა 1955 წლის 27 ივლისს, და საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მემორანდუმისა, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში 1955 წლის 15 აპრილს, 31 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა დასკვნითი ოქმი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა ავსტრიის რესპუბლიკას გადასცეს სახელმწიფო ხელშეკრულებაში აღნიშნული და მემორანდუმში ნახსენები საწარმოები — ავსტრიაში საბჭოთა ქონების სამმართველოს საწარმოები, საბჭოთა ნავთობის სამმართველოს ნავთობის სარეწები და ნავთობის საწარმოები, ნავთობის პროდუქტების ვაჭრობის საქციო საზოგადოება და აღმოსავლეთ ავსტრიაში დუნაის სანაოსნო კომპანიის ტივები.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ წარმატებით დამთავრდა მუშაობა აღნიშნულ საწარმოთა გადასაცემად, რაც განხორციელდა სახელმწიფო ხელშეკრულებაში დადებულ ვადაზე ადრე.

ოქმს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ი. ვ. იუშინმა, ავსტრიის მხრივ — ავსტრიის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა დოქტორმა რაინჰარდ კამიტცმა და ტრანსპორტისა და ნაციონალიზებული საწარმოების მინისტრმა დიპლომირებულმა ინჟინერმა კარლ ვალდბრუნერმა.

მეაბრეშუმეობის პროდუქტიულობის გაღიდებისა და აბრეშუმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

მეაბრეშუმეთა სრულიად საკავშირო თათბირზე

როგორც „კომუნისტის“ 25 აგვისტოს ნომერში იყო აღნიშნული, თბილისში მიმდინარეობდა მეაბრეშუმეთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც უკვე დასრულდა მუშაობა.

თათბირის პლენარულ სხდომებზე და სექციებში მოსმენილ იქნა 35 მოხსენება და ინფორმაცია. კამათში გამოვიდა 20 კაცი.

მომხსენებლები და კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავდნენ იმ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მოპოვებულია საბჭოთა კავშირში მეაბრეშუმეობის დარგში. ამასთან ერთად ისინი მიუთითებდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებზეც, რომლებიც აფერხებენ მეაბრეშუმეობის — სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის — შემდგომ სწრაფ აღმავლობას.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მეტ წილ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთიორად შემცირდა აბრეშუმის პარკის წარმოება, მაშინ როცა ამავე პერიოდში სსრ კავშირში პარკის დამზადება 29.2 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა პარკის წარმოების ზრდა მოლდავეთში, უკრაინაში, უზბეკეთში და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აბრეშუმის პარკის დამზადების ზრდა ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის აბრეშუმის მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნებს.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის, მრავალი მოწინავე კოლმეურნისა და ნოვატორის გამოცდილება მოწმობს, თუ რა დიდი რეზერვები გვაქვს მეაბრეშუმეობის ახალი მძლავრი განვითარებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ მეცნიერების უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება სუსტად ინერგება წარმოებაში, ბევრი ნოვატორული ხერხი ჯერ კიდევ არ გამხდარა ფართო მასების კუთვნილებად.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნა და არსებულ თუთის ნარგავთა სწორი ექსპლოატაცია მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების მთავარი პირობაა. მაგრამ საკვები ბაზა ჩამორჩება მეაბრეშუმეობის განვითარების მასშტაბს. ეს იმიტომ, რომ ბევრგან ნაკლები ყურადღება ექცევა თუთის ნარგავების გაშენებას, მოვლას, სწორ ექსპლოატაციას. სწორედ ეს არის ჩვენში ჰექტარ საკრეფ თუთაზე პარკის დაბალი მოსავლიანობის მთავარი მიზეზი.

უდავოა ის სერიოზული მიღწევები, რომლებიც საბჭოთა სელექციონერებმა მოიპოვეს ახალი მაღალპროდუქტიული თეთრი პარკის ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის საქმეში, რომლებიც კარგი მოვლისა და სწორი კვების პირობებში უხვ მოსავალს და მაღალხარისხოვან ნედლეულს იძლევიან. მაგრამ ჰიბრიდების მოშენებას დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა, იერეევა ჰიბრიდის მოვლისა და კვების აგროტექნიკა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მეცნიერების მთავარი სამმართველოს მემცენარეობის განყოფილების უფროსი ამხ. ზ. ტომაშევიჩი თავის მოხსენებაში შეეხო მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების კვლევიფიციური კადრებით განმტკიცების, ლაბორატორიებისა და სამეცნიერო კაბინეტების უახლესი მოწყობილობითა და აპარატურით აღჭურვის გადაუდებელ საკითხებს.

აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი სადგურის დირექტორმა ამხ. რ. ჰუსეინოვმა და შუა აზიის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა ამხ. ნ. შურშოკოვამ და ვ. სტრუნიკოვმა თავიანთი მოხსენებები მიუძღვნეს თესლის ხარისხის გაუმჯობესებას, თეთრი პარკის ჯიშის სიცოცხლისუნარიანობის გადიდებას და საჯიშე პარკის მექანიზებულ გადარჩევას.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. შ. ღვინეფაძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა რესპუბლიკაში აბრეშუმის ჭიის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოსაყვანად წარმოებული მუშაობის შესახებ.

აბრეშუმის ჭიის გენეტიკაში ახალ მონაცემებზე მოხსენებით გამოვიდა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამხ. ბ. ასტაუროვი.

უკრაინაში მეაბრეშუმეობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე გაამახვილა თავის გამოსვლაში ყურადღება უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. ზიაზინმა.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. ს. ნიკოლაიშვილი თავის სიტყვაში შეჩერდა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების, მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საკითხებზე.

უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის მეაბრეშუმეობის სამინისტროს უფროსმა ამხ. ბ. ეფაკოვმა ილაპარაკა საჯიშე საქმის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

აბრეშუმის პარკის ხარისხის მდგომარეობის შესახებ კრიტიკული შენიშვნები გააკეთა საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. ბაქრაძემ.

თათბირზე აღინიშნა საგრენაჟო ქარხნებისა და საჯიშე სადგურების მუშაობის ბევრი ნაკლოვანი მხარე, კერძოდ, მათ მიერ თესლის მომზადების მოქმედი სტანდარტისა და აგროტექნიკის დარღვევები.

ყურადღება იქნა გამახვილებული აგრეთვე მეაბრეშუმეობის მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციაზე.

თათბირმა შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებისა და ბუნებრივი აბრეშუმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მოსავლიანობის გაღიდების მნიშვნელოვანი ღონისძიება

მინერალური სასუქებიდან სოფლის მეურნეობაში ამჟამად ძირითადად იყენებენ აზოტიან, ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს, რომლებიც საქართველოში მომძე რესპუბლიკებიდან შემოაქვთ. აზოტიანი სასუქები, როგორც წესი, ძირითადად მიიღება ატმოსფეროში არსებული აზოტის სინთეზით, ხოლო ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები — ბუნებრივ პირობებში არსებული ფოსფორიტების, აპატიტებისა და კალიუმის ნედლი მარილების ქიმიური დამუშავებით. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა უახლოეს ხანში მიიღებს საქართველოშივე დამზადებულ აზოტიან სასუქს, რაც დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ძოწენიძის მიერ გამოქვეყნებული წერილებისა და ახალგაზრდა გეოლოგ ი. ნარჩემაშვილის მიერ ჩატარებული დეტალური კვლევის საფუძველზე ქუთაისის რაიონის სოფელ გოდოგანში აღმოჩენილ იქნა ფოსფორიტის საბადო, რომელიც 14 პროცენტ ფოსფორს შეიცავს.

ფოსფორიან სასუქთა ასორტიმენტში დიდი ხვედრითი წონა აქვს სუპერფოსფატს. სუპერფოსფატი მიიღება ფოსფორიტის ფქვილზე გარკვეული რაოდენობის გოგირდმჟავას მოქმედებით. ამიტომ სუპერფოსფატის წარმოება დიდად არის დამოკიდებული გოგირდმჟავას წარმოებაზე. სუპერფოსფატის წარმოება რთულია. უნდა აღინიშნოს, რომ სუპერფოსფატს წარმოებისათვის საჭიროა ფოსფორის მაღალი პროცენტის შემცველი ფოსფორიტის ფქვილი. ფოსფორის დაბალი პროცენტის შემცველი ფოსფორიტებიდან, რომლებსაც ქუთაისის რაიონის სოფელ გოდოგნის ფოსფორიტებიც მიეკუთვნება, სუპერფოსფატის მიღება შედარებით ძნელ საქმეს წარმოადგენს.

ფოსფორიტები, გარდა იმისა რომ წარმოადგენენ ნედლეულს სუპერფოსფატის წარმოებისათვის, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნან უშუალოდ სოფლის მეურნეობაში როგორც ფოსფორიანი სასუქი.

საბჭოთა აგრონომიული ქიმიის ფუძემდებლის აკადემიკოს დ. პრიანიშნიკოვის და მისი მოწაფეების მიერ შემუშავებულია ფოსფორიტის ფქვილის უშუალოდ სასუქად გამოყენების პირობები და დადგენილია, რომ ფოსფორიტის ფქვილის უშუალოდ სასუქად გამოყენება დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე, თანამგზავრ სასუქებზე, მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებაზე ფოსფორიტის ფქვილის ქიმიურ შემადგენლობაზე და სხვ. ცნობილია, რომ მჟავე რეაქციის ნიადაგებში შეტანილი ფოსფორიტის ფქვილი ფიზიოლოგიურად მჟავე სასუქებთან საკმაოდ დადებით ეფექტს იძლევა. საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთის ზონის ეწერ ნიადაგებზე ფოსფორიტის ფქვილი, როგორც წესი, შეაქვთ სუპერფოსფატის სახით შეტანილი ფოსფორის ორმაგი დოზის ეკვივალენტური რაოდენობით, ე. ი. თუ სუპერფოსფატების სახით ჰექტარზე ნიადაგში შეაქვთ 45 კილოგრამი ფოსფორი, ამ შემთხვევაში ფოსფორიტის ფქვილს შეიტანენ 90 კილოგრამის რაოდენობით.

დასავლეთ საქართველოს წითელმიწა და ეწერ ნიადაგებზე წარმოებული ცდებით მტკიცდება, რომ წითელმიწა ნიადაგებზე შეტანილი ფოსფორიტის ფქვილი სუპერფოსფატის ფოსფორის ეკვივალენტური რაოდენობით უკეთეს შედეგს იძლევა.

ამრიგად, ფოსფორიან სასუქთა შორის ფოსფორიტის ფქვილი ერთ-ერთი საუკეთესო ფორმის სასუქად უნდა ჩაითვალოს. ძლიერ მჟავე ნიადაგებზე ფოსფორიტის ფქვილის შეტანა ნიადაგს ამდიდრებს არა მარტო ფოსფორით, არამედ კალციუმითაც და ნაწილობრივ ანეიტრალებს ნიადაგის არეს რეაქციას.

ექსპერიმენტული მონაცემებით მტკიცდება, რომ გოდოგნის ფოსფორიტებში ფოსფორის რაოდენობა ძალიან მერყეევია და იცვლება დაახლოებით 2 პროცენტიდან 30 პროცენტამდე. გოდოგნის ფოსფორიტები საკმაო რაოდენობით შეიცავენ რკინას და ალუმინს, დიდი მათში კალციუმის რაოდენობაც. ქუთაისის ფოსფორიტში არსებული ფოსფორი სტანდარტულ ფოსფორიტთან შედარებით უფრო ძნელად ხსნადია. გოდოგნის 14-პროცენტიანი ფოსფორის შემცველი ფოსფორიტების აგრონომიული თვისების წითელმიწა ნიადაგებზე შესწავლამ ნათლად გვიჩვენა, რომ თავისი ეფექტიანობით ისინი თითქმის არ ჩამოუვარდებიან როგორც სუპერფოსფატს, ისე სტანდარტულ ფოსფორიტის ფქვილს. ვითვალისწინებთ რა ერთი მხრივ იმ გარემოებას, რომ გოდოგნის ფოსფორიტების მარაგი ჯერჯერობით მცირეა (14-პროცენტიანი ფოსფორის შემცველი ფოსფორიტების მარაგი დაახლოებით 1 მილიონ ტონამდეა), ხოლო მეორე მხრივ იმას, რომ გოდოგნის ფოსფორიტები მცირე რაოდენობით შეიცავენ ფოსფორს (ფოსფორის რაოდენობა 14 პროცენტია) და რომ ამასთან სუპერფოსფატის მისაღებად საჭირო გოგირდმჟავას წარმოება ჯერჯერობით საქართველოში არ არსებობს, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქუთაისის ფოსფორიტები გამოყენებულ იქნას როგორც ფოსფორიტის ფქვილი, ქიმიურად გადაუმუშავებლად.

ქუთაისის ფოსფორიტის უშუალოდ სოფლის მეურნეობაში გამოყენება ფოსფორიტის ფქვილის სახით არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, არც მისი წარმოება მოითხოვს დიდ თანხებს.

ფოსფორიანი სასუქების წარმოებას პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ. შედარებით მოკლე დროის მანძილზე საბჭოთა კავშირმა სუპერფოსფატის წარმოების დარგში საკმაოდ დიდი მიღწევები მოიპოვა და ამ მხრივ მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზე.

მიუხედავად ასეთი დიდი წარმატებისა, ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას ფოსფორიან სასუქებზე. სწორედ ამიტომ ფოსფორიანი სასუქების ახალი საბადოების აღმოჩენა-შესწავლას უდავოდ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

გოდოგნის ფოსფორიტები პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნას მჟავე ნიადაგებზე მზარდი ციტრუსოვანი ნარგავების, ტუნგოსა და სხვა კულტურებისათვის. ამ ფოსფორიტების გამოყენება მჟავე ნიადაგებზე ციტრუსოვანი, ტუნგოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასანოყიერებლად უზრუნველყოფს შორეული მომძე რესპუბლიკებიდან შემოტანილი სუპერფოსფატის შეცვლას. გოდოგნის ფოსფორიტები შეიძლება გამოვიყენოთ ნეიტრალურ და ტუტე რეაქციის მქონე ნიადაგებზე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლადაც.

ქუთაისის რაიონის სოფელ გოდოგნის ფოსფორიტების წარმოებაში ფართოდ გამოყენება უდავოდ დიდად შეუწყობს ხელს იმ დიდი და საპატიო ამოცანების გადაჭრას, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის და ივლისის პლენუმებმა დაგვისახეს.

ი. სარიშვილი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი.

ა. გერიძე,
ასპირანტი.

თბილისის ახალმშენებლობებზე

მომპირკეთებელთა სამართლიანი მოთხოვნა

ვაკეში ფალიაშვილისა და არაყიშვილის ქუჩების კუთხეში, დიდი საცხოვრებელი სახლის კორპუსებია აღმართული. ერთი კორპუსი, რომლის ფასადი არაყიშვილის ქუჩის მხარეს არის, მშენებლებმა საპირველმაისო დღესასწაულისათვის ჩაბარეს ქალაქის სახლოს, ამ უკანასკნელმა მასში 60 ოჯახი შეასახლა.

დასამთავრებელი დარჩა მეორე კორპუსი, რომელიც 32 მრავალოთახიან ბინას შეიცავს. 31 აგვისტოს შედგა ამ კორპუსის მშენებელთა და მომპირკეთებელთა კრება, რომელზეც განხილულ იქნა თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების მოწინავე ადამიანთა მიმართვა.

მშენებელთა კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა ყველა სამუშაო, რაც საჭიროა ამ კორპუსის დასამთავრებლად, შეასრულონ 20 სექტემბრამდე და ამით თავის წვლილი შეიტანონ თბილისის სახლნაო ფონდის გაფართოების საქმეში.

მაგრამ ამასთან მშენებლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სამშენებლო სამუშაოთა სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებაში მათ დიდ დაბრკოლებას უქმნის სამონტაჟო ორგანიზაცია — მერვე საერთო-სამშენებლო ტრესტი (ასრულებს სანიტარული ტექნიკის სამონტაჟო სამუშაოებს), რომელსაც ამხ. ა. სოსელია ხელმძღვანელობს.

ახლა დაწყებულია ამ სახლის შიგნითა მოპირკეთების სამუშაოები, მაგრამ ძირითადი მოსაპირკეთებელი სამუშაოების გაშლა — პარკეტის დაგება, კედლების შელესვა, შეფითქვა და შეღებვა ფერხდება იმის გამო, რომ დამთავრებული არ არის გასათბობი სისტემის ქსელის მოწყობა. რადიატორების დადგმა, მილგაყვანილობის გამართვა საჭიროა წინასწარ, სანამ მოსაპირკეთებელი სამუშაოები დაიწყებოდეს, რომ შემდეგ საჭირო აღარ გახდეს კუთხეებში პარკეტის აშლა და ა. შ.

მოპირკეთების სამუშაოთა მწარმოებელმა ე. ტიმოხენკომ, მდივანმა ა. შჩედრინმა, მეპარკეტე ს. პუდოვკინმა, ბრიგადირმა ა. საფაროვმა მოითხოვეს, რომ პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელები და საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო დაეხმარონ მათ ამ მხრივ, აიძულონ სანტექმონტაჟის სამუშაოთა შემსრულებლები დაუყოვნებლივ დაიწყონ ნაკისრ სამუშაოთა შესრულება, რათა ამით სამუშაოთა ფრონტი შეუქმნან მომპირკეთებლებს.

— პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მეშვიდე სამშენებლო სამართველოს კოლექტივი, — ნათქვამია კრებაზე ერთხმად მიღებულ დადგენილებაში, — რომელიც ფალიაშვილისა და არაყიშვილის ქუჩათა კუთხეში სახლის დამთავრებაზე მუშაობს, პირობას იძლევა ყველა სამშენებლო სამუშაო შეასრულოს მაღალხარისხოვნად და სწრაფად, მოვითხოვთ საშენი მასალების მომარაგების გაუმჯობესებას.

შეჯიბრებაში ებმებიან ახალი კოლექტივები

ვარაზისხევში, რომელიც ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ გაუვალი იყო, უკვე მკაფიოდ არის გამოსახული განიერი ქუჩის სილუეტი. ამ ქუჩის ორივე მხარეს დღეს ახალ, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლთა კორპუსები ამშენებენ. ყველაზე უახლესი ამ სახლებს შორის არის სარეწაო კოოპერაციის სისტემის მუშაკთა 28-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მალე უნდა გადასცენ დამკვეთელს მობინადრეთა შესასახლებლად.

არაყიშვილისა და ბარნოვის ქუჩების კუთხეში ორი დიდი საცხოვრებელი სახლი შენდება. პირველს საქართველოს სოფლელექტროპროექტის მუშაკისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის, ხოლო მეორეს „გეოქიმრაზვედკას“ მუშაკებისათვის აშენებენ. ორივე ამ საცხოვრებელი სახლის დამთავრების ვადად დაწესებულია მიმდინარე წლის დეკემბრის მესამე დეკადა.

ფერად ლითონთა საძიებო სამმართველოს მუშაკთათვისაც ამთავრებენ მშენებლები 4-სართულიანი სახლის აგებას ხარნოვის ქუჩაზე № 85, ხოლო გოგებაშვილის ქუჩაზე წელს უნდა დამთავრდეს მწერალთა საცხოვრებელი დიდი სახლი.

31 აგვისტოს ხუთივე ამ საცხოვრებელი სახლის მშენებლები შეგროვდნენ გაერთიანებულ კრებაზე, სადაც განიხილეს თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრების მიმართვა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღების შესახებ. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს უფროსი ინჟინერი ბ. ჩიგოგიძე, რომელმაც დაშსრეებს გააცნო ცალკე სამშენებლო ობიექტების მზადყოფნის მდგომარეობა და მოუწოდა მათ ყველა საშუალებით დააჩქარონ მუშაობის ტემპი, უზრუნველყონ აღნიშნული საცხოვრებელი სახლების ვადამდე გადაცემა მობინადრეების შესასახლებლად.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ოსტატი-მშენებელი მ. კენკიშვილი, რომელმაც ილაპარაკა სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა საცხოვრებელი სახლის მშენებელთა დავალებით. მან განაცხადა, რომ ამ სახლის მშენებელთა კოლექტივი კისრულობს **7 სექტემბრამდე გაამზადოს მობინადრეების შესასახლებლად სახლის ორი სექცია, ხოლო შენობის დანარჩენი ნაწილის მობინადრეთა შესასახლებლად გამზადება დაამთავროს ნაცვლად წლის ბოლო რიცხვებისა — 20 ოქტომბრისათვის.**

მწერალთა სახლის მშენებლების წარმომადგენლებმა ინჟინერმა ლ. ბარბაქაძემ და საძირკვლის სამუშაოთა შემსრულებელმა ამხ. აბრამიშვილმა მოითხოვეს, რომ ამ სახლის მშენებლები მოამარაგონ დარჩენილ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ხე-ტყის მასალით, ცემენტით და სხვა საშენი მასალებით, ხოლო მშენებლები თავის მხრივ კისრულობენ ეს სახლი 21 დეკემბრისთვის გადასცენ მწერლებს.

კონკრეტული საწარმოო ამოცანების შესრულება იკისრეს სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად და ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვადამდე დასამთავრებლად მშენებელთა სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა — ბრიგადირმა ი. აკოფიანმა, მღებავების ხელმძღვანელმა ბ. მიქაელიანმა, ხუროების ბრიგადირმა ა. მაისურაძემ და სხვ.

ხუთივე საცხოვრებელი სახლის მშენებლებმა პირობა დადეს **არ ჩამორჩნენ საბურთალოზე** (კომინტერნის ქუჩა) **საცხოვრებელ სახლთა კომპლექსის მშენებლებს,** მიაღწიონ მათთან შეჯიბრებაში უკეთეს მაჩვენებლებს და უზრუნველყონ თავიანთი სამშენებლო ობიექტების აგების ვადამდე დამთავრება.

ლამაზი წიწვნარით არის გარშემორტყმული საკავშირო პროფსაბჭოს ბორჯომის დასასვენებელი სახლი. იგი წელს მოემსახურება 900-მდე დამსვენებელს. **სურათზე:** დასასვენებელი სახლის ექიმი დ. იაშვილი (მარცხნიდან მესამე) ესაუბრება დამსვენებლებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

დაიწყო ახალი თეატრალური სეზონი

სექტემბრის პირველ რიცხვებში რესპუბლიკის თეატრებში იწყება ახალი, 1955-56 წლის სეზონი.

თბილისის თეატრებიდან ახალი სეზონი პირველმა გახსნა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა, რომელმაც 1 სექტემბერს მაყურებელს უჩვენა ი. ჭავჭავაძის „გლეხის ნაამბობი“.

თეატრი სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენებს ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“, სარპენტუარო გეგმაში აქვს დასადგმელად ა. შტეინის „პერსონალური საქმე“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ი. ვაკელის „საქმიანი კაცი“ და დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. ახალი დადგმით იქნება წარმოდგენილი „კიკვიძე“, „საპატარძლო ფიქრით“, „როდეზა“ და „ოლეკო დუნდიჩი“.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სეზონი იხსნება 3 სექტემბერს ოპერა „აბესალომ და ეთერით“. წელს ახალი რედაქციითა და ახალი დადგმით წარმოდგენილი იქნება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ა. კერესელიძის ოპერა „ბაში-აჩუკი“. თეატრს განზრახული აქვს მაყურებელს უჩვენოს კომპოზიტორ თ. შავერზაშვილის ახალი ოპერა „ივანანა“, ახალი დადგმით — მ. ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი“ და მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“. აღდგენილ იქნება ა. ბუკიას საბავშვო ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები“. ასევე განზრახულია ოპერის ოპერა „ფრა-დიავოლოს“ და ა. ხაჩატურიანის ბალეტის „სპარტაკის“ დადგმების განხორციელება.

ვ. კანდელაკის ჭერთიკული კომედია „მაია წყნეთელით“ იწყება 3 სექტემბერს ახალ სეზონს. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი 7 სექტემბერს თეატრი მაყურებელს უჩვენებს ახალ დადგმას — ბერნარდ შოუს „პიგმალიონს“. განზრახულია აგრეთვე გ. შატბერაშვილის „უცნობი თანამგზავრის“ და მ. მრეველიშვილის „ზვავის“ დადგმა. კაპიტალურად აღდგენილ იქნება „მარგარიტა გოტიე“, დაიდგმება მ. ჯავახიშვილის „ირსენა მარაბდელი“, უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“ და ვ. გაბესკირიას „ახალწლის ღამეს“. აღდგენილ იქნება „ურიელ აკოსტა“ კ. მარჯანიშვილის დადგმის მიხედვით.

3 სექტემბერს სეზონს იწყებენ აგრეთვე გრიბოედოვის სახელობის, სომხური დრამისა და ოპერის და ოპერეტა მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში უმჯობესდება ვაჭრობა. მაღაზიებში სულ უფრო მეტი რაოდენობით იყიდება ყოველდღიური მოხმარების საქონელი. **სურათზე:** ბაიფონის უნივერსალური მაღაზიის თანამშრომლები ემზადებიან მაღაზიის გახსნისათვის.

ფოტო ჩან ჩი-შენისა (სინხუას საგენტო).

მკითხველებს ახალი წიგნებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოცენტ ვ. აბულაძის ნაშრომი

ამ რამდენიმე ხნის წინათ სახელგამმა გამოსცა დოცენტ ვ. აბულაძის ნაშრომი —„საბჭოთა ვაჭრობა და მისი როლი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში“. წიგნის რედაქტორია დოცენტი ს. ანწყირველი.

ნაშრომში განხილულია საბჭოთა ვაჭრობის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის: ვაჭრობის მნიშვნელობა სოციალიზმის დროს, საბჭოთა ვაჭრობის განსაკუთრებული ხასიათი, ვაჭრობის როლი გაფართოებულ სოციალისტურ კვლავწარმოებაში, საბჭოთა ვაჭრობის ფორმები, ფასები საბჭოთა ვაჭრობაში, საბჭოთა ვაჭრობის კადრები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა. შ.

ავტორის მიერ განხილულია საკითხი ვაჭრობის ბუნებისა და აუცილებლობის შესახებ სოციალისტურ საზოგადოებაში. ნაჩვენებია, რომ საბჭოთა ვაჭრობა ახალი ბუნებისა და შინაარსის მქონეა და მას სრულიად ახალი ფუნქციები აქვს. სწორად არის აღნიშნული, რომ ვაჭრობა სოციალიზმის დროს წარმოადგენს მოსახლეობის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მძლავრ ბერკეტს. ამასთან გაშუქებულია კაპიტალისტური ვაჭრობის ანტაგონისტური ხასიათის სტიქიური, ანარქიული ბუნება.

წიგნი დამაჯერებლად გადმოგვცემს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფიდების, საქონელბრუნვის გაშლისა და საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების საქმეში მძიმე ინდუსტრიის — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის, უპირატესი განვითარების აუცილებლობას.

ნაშრომი თავისუფალი არ არის ნაკლოვანებებისაგან. მაგალითად, წიგნის მეათე გვერდზე ავტორი წერს: „საქონლის მასა, რომელიც ძირითადად საბჭოთა ვაჭრობის ობიექტია, მზადდება გაერთიანებულ სოციალისტურ მწარმოებელთა (სახელმწიფო, კოლმეურნეობა, კოოპერაცია), მიერ“... აქ სიტყვა „ძირითადად“ უადგილოა. ასევე არაზუსტია გამოთქმა: „საბჭოთა ვაჭრობის საშუალებით ხდება მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლის უდიდესი ნაწილის რეალიზაცია, საჭირო საგნების შეძენისათვის“ (გვ. 23). ძნელი გასაგებია, რის თქმა სურს ავტორს.

მიმოქცევის ხარჯების დახასიათებისას წიგნის ავტორი წერს: „წმინდა მიმოქცევას ეკუთვნის: ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციებით დასაქმებულ სავაჭრო მუშაკთა ხელფასი, რეკლამის ხარჯები, საბირჟო ვაჭრობის ხარჯები და სხვ.“ (გვ. 76). როგორ შეიძლება ხარჯები მიეკუთვნოს წმინდა მიმოქცევას ან საერთოდ მიმოქცევას!

ასეთი არაზუსტი, ზოგჯერ მცდარი გამოთქმები ხშირად შეხვდება მკითხველს ამ წიგნის ფურცლებზე. წინადადებათა ფორმულირება ზოგჯერ ისეთია, რომ გარკვევის ნაცვლად შეიძლება მკითხველი დაბნიოს (შრომის ნაყოფიერების შესახებ 83-ე გვერდზე და სხვ.). წიგნში მკრთალად არის გაშუქებული ფასების საკითხი, ჯეროვნად არ არის განხილული საბითუმო ფასების სტრუქტურა და მიმოქცევის ხარჯების დონე, ბუნდოვნად არის განმარტებული საბითუმო და საცალო ფასების ურთიერთდამოკიდებულება, ნაკმარია უმარცებულო გამოთქმები... ნაშრომის მე-80 გვერდზე სპეციალური ჟურნალიდან ამოღებული ცხრილი (გვ. 48) გამოყენებულია არასრულად, დამახინჯებულად. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ წიგნს აკლია რედაქტორის ხელი, განსაკუთრებით ენობრივად გამალაშინებაში.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ამ წიგნის გამოცემა მაინც მისასალმებელია, რადგან იგი დახმარებას გაუწევს ვაჭრობის მუშაკებს, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელებს.

გ. ჭანუყაძე.

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

წიგნი სასოფლო-სამეურნეო მელიორაციაზე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობამ მიმდინარე წელს გამოსცა პროფესორ ი. ჩხენკელის წიგნი „სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია“ (მესამედ გადაშუშავებული). ეს ნაშრომი წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც შედგენილია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამის მიხედვით და ძირითადად განკუთვნილია აგრონომიული ფაკულტეტებისათვის.

სათანადო პედაგოგიური გამოცდილებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე პროფესორმა ჩხენკელმა შეადგინა მელიორაციის სახელმძღვანელო.

ამ წიგნის შესაბამად გამოცემისას ავტორმა გათვალისწინა მკითხველთა მხარდა მოთხოვნილება, მათი საქმიანი შენიშვნები, წინადადებები. მესამე გამოცემაში ავტორმა ახლებურად გააშუქა სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის ზოგადი მეცნიერული საკითხები, მეცნიერებს ამ დარგში მოპოვებული წარმატებები. წიგნში ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: რწყვის ახალი სისტემა, რომლის გამოყენება დაკავშირებულია სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენებასთან.

ამასთან წიგნში გაშუქებულია ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა. საფუძვლიანად არის განხილული დაშვებითი რწყვის ხერხები, დასახელებულია მისი გამოყენების ეკონომიური მნიშვნელობა და ეფექტიანობა საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში. ახალი მონაცემების საფუძველზე დაზუსტებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა რწყვის რეჟიმი და მოცემულია რწყვის ნორმების განაგარიშების ახალი მეთოდი. წიგნში გაშუქებულია აგრეთვე ტენსაზომის მუშაობის პრინციპი და მისი გამოყენების წესები რწყვის ვადების დადგენის მიზნით; წიგნის ცალკეული თავები შევსებულია ავტორისა და სხვა მკვლევარების მიერ სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის დარგში გაწეული სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შედეგად მიღებული მასალებით.

წიგნს ზოგიერთი ნაკლიც აქვს. მართალია, სახელმძღვანელო გათვალისწინებულია აგრონომიული ფაკულტეტებისათვის, აგრეთვე აკმაყოფილებს ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის მესამე კურსის მოთხოვნილებებს, მაგრამ საქმისათვის აუცილებდა, რომ ავტორს ზოგიერთი თავი უფრო ფართოდ დაეწერა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ჰიდრომელიორაციის მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტებს. მით უმეტეს, რომ საინჟინრო მელიორაციის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ გამოქვეყნებულა. ნაშრომში მელიორაციის ზოგიერთი სპეციალური საკითხი არასაკმაოდ არის გაშუქებული. მაგალითად, ზედაპირული ჩამონადენის განგარიშების მეთოდი მეტად გამარტივებულია, არაფერია ნათქვამი ძირითადი ფაქტორის — წყალშეკრები აუზის ფართობის შესახებ; გაფართოებას მოითხოვდა ჰიდროლოგიურ და ჰიდრომეტრიულ დაკვირვებათა შეკრებისა და დამუშავების წესები. წიგნში მოყვანილი არ არის მაქსიმალური ჩამონადენის განსაზღვრის თანამედროვე სრულყოფილი ფორმულები. ავტორი აქაყოფილდება მარტივი ფორმულით, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო ფარგლებში.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, პროფესორ ი. ჩხენკელის წიგნი სასარგებლო ნაშრომია სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის ლიტერატურაში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტებსა და პრაქტიკოს მუშაკებს.

დოცენტი ლ. ციკლაური.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ათი წლისთავი

დღეს ვიეტნამელი ხალხი და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი აღნიშნავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეათე წლისთავს.

1945 წლის 2 სექტემბერი ის თარიღია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ეპოქას ვიეტნამელი ხალხის ისტორიაში. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა იყო შედეგი ვიეტნამელი ხალხის მრავალი წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ, აგრეთვე იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებსაც ინდოჩინეთი ოკუპირებული ჰქონდათ 1940 წლიდან 1945 წლის აგვისტომდე.

1945 წლის აგვისტოში დაწყებული საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების შედეგად ხალხმა საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება.

მაგრამ ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკისა და მის მიერ განხორციელებულ დემოკრატიულ გარდაქმნათა გზაზე კვლავ აღდგნენ კოლონიზატორები, რომლებმაც სცადეს ძალით ჩაეხშოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და აღიდგინათ ძველი წესები. რვა წელიწადს ვიეტნამელი ხალხი ეწოდა წინააღმდეგობის სისტემატიზებულ ომს და ამ ომში გვიჩვენა მამაცობისა და თავგანწირვის საწყალები.

ამ ბრძოლაში ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გამარჯვება მოიპოვა. სისტემატიზებულ ბოლო მოეღო ერთი წლის წინათ ამით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ჟენევის შეთანხმებათა ხელმოწერის დროდან წელიწადზე მეტი გავიდა. შეთანხმებებით გათვალისწინებული ბევრი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. მიღწეული შეთანხმების ზუსტი შესაბამისობით ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე შეწყდა საომარი მოქმედება, მოხდა სამხედრო ტყვეების გაცვლა. მიმდინარე წლის მაისში დამთავრდა ჯარების გადაჯგუფება, და ტერიტორია მე-17 პარალელს ჩრდილოეთით, რომელიც ჟენევის შეთანხმებით დროებითი სადემარკაციო ხაზია, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონტროლს ექვემდებარება.

ვიეტნამის ჩრდილოეთი ნაწილის სრული განთავისუფლება ვიეტნამელი ხალხის დიდი გამარჯვება იყო. ჟენევის შეთანხმებათა სამხედრო ფუნქციების შესრულებამ შექმნა საკმარისი წანამძღვრები ვიეტნამის გეოგრაფიული და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენისათვის ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე საყოველთაო, თავისუფალი არჩევნების მოწყობით. (ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად ,ეს არჩევნები უნდა მოეწყოს 1956 წლის იანვარში).

ზუსტად ასრულებს რა ჟენევის შეთანხმებათა სამხედრო და პოლიტიკურ მუხლებს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა წარმომადგენლებთან ერთად მოეწყოს საკონსულტაციო კონფერენცია საყოველთაო არჩევნების მოსამზადებლად. მაგრამ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი ნგო დინ დიემის მეთაურობით სპეტაღს უწევენ ჟენევის შეთანხმებებს. ისინი არათუ არ გამოეხმაურნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას საკონსულტაციო კონფერენციის მოწვევის შესახებ, არამედ 20 ივლისს, იმ დღეს, როცა ეს კონფერენცია უნდა დაწყებულიყო, პროვოკაცია მოაწყეს ვიეტნამში სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის წინააღმდეგ, რომელიც საიგონში იმყოფება. უფრო მეტიც, 10 აგვისტოს სამხრეთ ვიეტნამის მთავრობამ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას „არ მიაჩნია თავი შებოჭილად ჟენევის შეთანხმებით“.

იმ ვითარებაში, როცა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა მსოფლიოს ხალხებს ჩაუნერგა გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობის რწმენა, სამხრეთ-ვიეტნამელთა ხროვის ცდები ჩაშალონ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი იწვევენ ვიეტნამელი ხალხისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის გულისწყრომას. მსოფლიო საზოგადოებრიობა მოითხოვს ჟენევის 1954 წლის თათბირის მონაწილე ქვეყნებისაგან, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, ინგლისისა და საფრანგეთისაგან, მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა ძირგამომთხრელი მოქმედება და უზრუნველყონ ჟენევის შეთანხმებათა სრული განხორციელება.

იბრძვის რა ინდოჩინეთში მშვიდობიანი მოწესრიგების მოწინააღმდეგეთა ხრიკების წინააღმდეგ, ვიეტნამელი ხალხი კიდევ უფრო მეტად რაზმავს თავის ძალებს. „ამჟამად პარტიისა და ჩვენი ხალხის ამოცანა ის არის, — ნათქვამია ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 20 აგვისტოს დამთავრებული მერვე პლენუმის რეზოლუციაში, — რომ შევკრიბოთ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეროვნული დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე ძალები, რათა განახორციელოთ ვიეტნამის ეროვნული გაერთიანება მშვიდობიანი გზით დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ბაზაზე, განვამტკიცოთ მშვიდობა და ხელი შეუწყალოთ ახალი ომის წარმოშობას“. პირველი რიგის ამოცანად პლენუმი აღნიშნავს იმას, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა მონაწილეობა საკონსულტაციო კონფერენციაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, წარმომადგენლებთან ერთად საყოველთაო თავისუფალი არჩევნების საკითხის განხილვის მიზნით. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა კოლონიური რეჟიმისა და გამანადგურებელი ომის შედეგების ლიკვიდაცია, ეროვნული ეკონომიკის აღდგენა და აღმავლობა.

ამ ამოცანების გადასაჭრელად ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე ბევრი რამ გაკეთდა. ვიეტნამის მშრომელთა პარტია და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილში დამთავრონ მიწის რეფორმა და განავითარონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მთელ რიგ პროვინციებში მიწის რეფორმა უკვე განხორციელდა. მისი პირველი ეტაპი — საიჯარო გადასახადის შემცირება — განხორციელდა რაიონებში, რომელთა მოსახლეობა 5.500 ათას კაცს აღემატება. მეორე ეტაპი — მიწის ჩამორთმევა მემამულეებისათვის და მისი განაწილება გლეხთა შორის — განხორციელდა 1.735 სოფელში. უკვე ორ მილიონამდე გლეხი გახდა მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონი.

აგრარულმა გარდაქმნებმა საფუძველი ჩაუყარა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას. მშვიდობის დამყარების შემდეგ ჩრდილოეთ ვიეტნამში დაითესა 800 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი. ამასთან მოიხნა 70 ათას ჰექტარამდე ნასვენი მიწა, რეკონსტრუირებულია რვა ვრცელი სარწყავი სისტემა და დამატებით უზრუნველყოფილია წელიწადში 250 ათასი ჰექტარი ბრინჯის ყანები. მიღებულმა ღონისძიებებმა ნაყოფი გამოიღო. მიმდინარე ზაფხულში ჩრდილოეთ ვიეტნამის მინდვრებში აღებულია 1.200 ათასი ტონა ბრინჯის მოსავალი, რაც 50 პროცენტით აღემატება შარშანდელ მოსავალს.

აგრარული რეფორმის განხორციელებამ, წარმატებებმა სოფლის მეურნეობის აღდგენაში კიდევ უფრო განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი—რესპუბლიკის სახალხო წყობილების საფუძველი.

სეროიზული ამოცანები დგას ვიეტნამელი ხალხის წინაშე მრეწველობის აღდგენისა და განვითარების დარგში. 1954 წელს საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ვიეტნამის სამრეწველო საწარმოებმა, პირველ რიგში სახელმწიფო საწარმოებმა, მნიშვნელოვნად გაადიდეს პროდუქციის გამოშვება. მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში ამოღებულია რამდენჯერმე მეტი ქვანახშირი, ვიდრე მთელ გასულ წელს. მნიშვნელოვნად გაიზარდა საშენი მასალების, მასობრივი მოხმარების საქონლის და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოება.

გასულ წელს ანო-მონანგეუნის რკინიგზის აღდგენამ, ორი ახალი რკინიგზის მშენებლობამ და სანაოსნო გზების განვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ვაჭრობის განვითარებისა და სურსათით მოსახლეობის ნორმალური მომარაგებისათვის.

მიუხედავად დაბრკოლებებისა, რასაც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი უქმნიან ვაჭრობის განვითარებას ვიეტნამის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, საქონლბრუნვის მოცულობამ, მათ შორის 1955 წლის პირველ ნახევარში, ერთნახევარჯერ გადააჭარბა მთელი 1954 წლის საქონელბრუნვის მოცულობას.

ამჟამად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ადგენს დიდი სამრეწველო მშენებლობის გეგმებს, რომლებმაც ძირეულად უნდა შეცვალონ ეროვნული ეკონომიკის ხასიათი. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ის დახმარება, რომელსაც ვიეტნამელ ხალხს უწევენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირი და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. იმის შედეგად, რომ ამის წინათ პეკინსა და მოსკოვში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა პრეზიდენტი ხო ში მინი, მოლაპარაკება ჰქონდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებთან, მიღებულია გადაწყვეტილებანი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის-თვის დიდი ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ. როგორც ცნობილია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დაუბრუნებლად გადასცეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას 800 მილიონი იუანი რკინიგზების, სამდინარო ნავმისადგომების, ხიდების აღდგენასა და სხვა სამუშაოებში დახმარების გასაწევად, ხოლო საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოჰყო 400 მილიონი მანეთი როგორც დაუბრუნებელი დახმარება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების დონის ამაღლებისა და ეკონომიკის აღდგენისათვის, აგრეთვე 25 სამრეწველო და კომუნალური საწარმოს აღდგენისა და მშენებლობისათვის.

შეფასა რა სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფელეგაციის მოგზაურობის შედეგები, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უანგარო და დიდსულოვანი დახმარება აღფრთოვანებს ვიეტნამელ ხალხს ეკონომიური და კულტურული აღდგენის ამოცანების გადაჭრაში ყველა სიძნელის დასაძლევად. პლენუმმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ მოგზაურობამ განამტკიცა მეგობრობა ვიეტნამის ხალხსა და სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის და ცხადყო, რომ სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს ერთი და იგივე შეხედულება აქვთ ინდოჩინეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანებზე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მტკიცედ დგას მშვიდობის ბანაკში, ურყევი რწმენით მიდის ახალი, თავისუფალი ცხოვრების მშენებლობის გზით. განუხრელად იზრდება მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. ფართოვდება მისი საერთაშორისო ურთიერთობა. ამას, ყო

საპარლამენტთაშორისო კავშირის 44-ე კონფერენციაზე

ჰელსინკი, 31 აგვისტო. (საკდესი). 30 აგვისტოს საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციის საღამოს სხდომაზე დამთავრდა განხილვა საკითხისა საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესახებ, რომელიც დღის წესრიგის ძირითადი საკითხის — ერთა შორის ნამდვილი მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების საკითხის ნაწილია.

დისკუსიის მსვლელობაში გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. მ. საფრონოვი, რომელმაც თქვა:

საბჭოთა კავშირი ყოველი ღონისძიებით ცდილობს განავითაროს საქმიანი კავშირურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, როგორც დიდ, ისე პატარა ქვეყნებთან, თანასწორობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

ცნობილია, რომ სახელმწიფოთა ეკონომიური კავშირურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ფორმაა საგარეო ვაჭრობა. ახლა საბჭოთა კავშირი 58 სახელმწიფოსთან ვაჭრობს. საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა წლითიწლობით იზრდება და მიმდინარე წელს იგი 4,5-ჯერ და მეტად აღემატება ომამდელ დონეს.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო და არის ყველა ქვეყანასთან ფართო ვაჭრობის მომხრე. ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და ნედლეულის რესურსები მეტად დიდია და ეს საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვანი ოდენობით განვავითაროთ საგარეო ვაჭრობა.

მაგრამ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე არის მთელი რიგი დაბრკოლებანი, კერძოდ, შეზღუდვა ვაჭრობისა ეგრეთწოდებული „სტრატეგიული“ მოსაზრებებით, როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ა. ბულგანინმა ევნევის თათბირზე თქვა, „ცივი ომის“ პროდუქტია. ამ შეზღუდვამ დაარღვია ტრადიციული ეკონომიური კავშირურთიერთობა ბევრ ქვეყანას შორის და გახდა სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუარესებისა და მათ შორის უნდობლობის ზრდის სერიოზული მიზეზი.

ჩვენ დისკრიმინაციის პოლიტიკის წინააღმდეგი ვართ იმიტომ, რომ იგი შეუთავსებელია პარტნიორთა კეთილმეზობლური ურთიერთობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებთან.

შემდეგ ა. მ. საფრონოვი შეეხო მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის და საწარმოო გამოცდილების გაცვლის საკითხებს, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს ამ დარგში.

საბჭოთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია, განაცხადა დასასრულ ა. მ. საფრონოვმა, მხარს უჭერს რეზოლუციის პროექტს ეკონომიკის დარგში საერთაშორისო გაცვლის განვითარების საკითხზე, რეზოლუციისა, რომელიც წარმოდგენილია ამ კონფერენციის განსახილველად.

პოლონეთის დელეგატმა ლანგემ განაცხადა, რომ პოლონეთის დელეგაცია ხმას მისცემს განსახილველი საკითხის შესახებ წარმოდგენილ რეზოლუციას. მშვიდობიანი თანაარსებობის ერთ-ერთი ამოცანაა, თქვა ლანგემ, დაბრკოლებათა მოსპობა თავისუფალი ვაჭრობის გზაზე.

მომხსენებელმა ამ საკითხზე — ინგლისის წარმომადგენელმა ჰაინლმა დისკუსიის მსვლელობაში ილაპარაკა რეზოლუციის პროექტისათვის შეტანილ შესწორებათა წინააღმდეგ, „არასასურველად“ მიიჩნია რა ისინი. გადაწყდა, რომ რეზოლუციის პროექტის კენჭისყრა მოხდება 31 აგვისტოს.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა ძირითადი საკითხის უკანასკნელი პუნქტის—საერთაშორისო კულტურული გაცვლისა და მიმოსვლის თავისუფლების საკითხის განხილვას. დისკუსია ამ საკითხზე გაიმართა იმ მოხსენების საფუძველზე, რომელიც კონფერენციას წარუდგინა ბელგიელმა სენატორმა ნოტომბმა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა პარტელმა მოითხოვა, რომ კულტურული გაცვლის დროს ერთი ქვეყნის კულტურა თავს არ მოახვიონ მეორეს, არამედ გაცვლა ხდებოდეს სხვადასხვა კულტურის ურთიერთგამდიდრების საფუძველზე

შემდეგ სიტყვა მიიღო ნორმა (ურუგვაი), რომელმაც აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხს შეუძლია ხელი შეუწყოს მთელი კაცობრიობისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხის — მშვიდობის საკითხის გადაჭრას.

ინგლისის დელეგატმა ფერნსმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გაფართოდა ტურისტების გამგზავრება საბჭოთა კავშირში.

რუმინეთის დელეგატმა რიპანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კულტურული გაცვლის საკითხი მშვიდობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. კაიროვმა განაცხადა, საბჭოთა კავშირი იმის მომხრე იყო და ახლაც იმის მომხრეა, რომ ფართოდ განვითარდეს კულტურული კავშირურთიერთობა სახელმწიფოთა შორის, მოისპოს დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან ხალხების ურთიერთობას.

ი. ა. კაიროვმა განაცხადა, რომ მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა 2.300-ზე მეტი დელეგაცია, ხოლო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მარტო უკანასკნელ ორ თვეში იყო 61 ქვეყნის 395 დელეგაცია. საბჭოთა ხალხი ყველა მათგანს გულითადად და სტუმართმოყვარეობით ხვდება, უჩვენებს თავის ქვეყანას, არაფერს არ უმალავს, უჩვენებს ისეთს, როგორიც ეს ქვეყანა არის.

ამით საკმაებით ისპობა სულელური ზღაპარი ჩვენი ქვეყნის „რკინის ფარდის“ შესახებ, თქვა კაიროვმა. ეს სიმართლე მსოფლიოს ყოველი პატიოსანი და უბრალო ადამიანის გონებამდე და გულამდე აღწევს.

დასასრულ ი. ა. კაიროვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია მხარს უჭერს კომისიის წინადადებას კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ და ხმას მისცემს შემოტანილი რეზოლუციის პროექტს.

შვეიცარიის დელეგატი ჰუსი შეეხო ფინეთისა და შვეიცარიის კულტურულ კავშირურთიერთობას. იგი დაეთანხმა მომხსენებელ ნოტომბის აზრს, რომ სასურველია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და იუნესკო უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციებად გადაიქცნენ. იუნესკოს წევრად სსრ კავშირის შესვლა მან დაახასიათა როგორც პროგრესული ფაქტი.

ინგლისის წარმომადგენელი მეიტლენდი რეკომენდაციას იძლევა — ევროპაში დაარსდეს მიმოსვლის ისეთი სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედება, ასე ვთქვათ, „ევროპის მოქალაქეობა“.

ამით დამთავრდა კამათი საერთაშორისო კულტურული გაცვლისა და თავისუფალი მიმოსვლის საკითხზე.

კონფერენცია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი პუნქტის — პარლამენტების თავმჯდომარეთა უფლებების საკითხის განხილვას.

ვენა ეთხოვება საბჭოთა მეომრებს

ვენა, 31 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს ვენაში მოედანზე რატუშის წინ გაიმართა საზეიმო მიტინგი. აქ ავსტრიის დედაქალაქის მცხოვრებლები ეთხოვებოდნენ საბჭოთა არმიის მეომრებს, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან. მოედანზე და მის მომიჯნავე ქუჩებში შეიკრიბა ათასობით ავსტრიელი მოქალაქე.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი ჰუგო გლიაზერი. „ჩვენ, ავსტრიის მშრომელები, — თქვა მან, — მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებისა და იმ სოციალური უფლებებისათვის, რაც მივიღეთ საწარმოებში, რომლებსაც 10 წლის განმავლობაში საბჭოთა ადმინისტრაცია მართავდა, უფლებებისათვის, რომლებსაც დღეს ჩვენ ვიცავთ. მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დარჩება და სულ უფრო განმტკიცდება, მიუხედავად საზღვრებისა. ვენელი მუშები სალამს უთვლიან საბჭოთა კავშირის მუშებს!“.

საბჭოთა მეომრების სახელით სიტყვა წარმოთქვა გენერალმა ვ. ი. ედანოვმა, რომელსაც შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ.

გენერალმა ვ. ი. ედანოვმა თავისი სიტყვის დასასრულს ტაშის გრიალში გამარჯვება უსურვა სსრ კავშირისა და ავსტრიის მეგობრობას.

ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მდივანმა მარტინ გრიუნბერგმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხების მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს და წლითიწლობით განმტკიცდება.

მიტინგის შემდეგ რატუშის წინ მოედანზე გაიმართა საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. ანსამბლის მსახიობთ ვენის მცხოვრებლებმა ყვავილები მიართვეს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წარმომადგენლებმა ანსამბლის ხელმძღვანელს სამადლობელი ადრესი გადასცეს.

საბჭოთა მეომრებთან საზეიმო გამოთხოვება ოვაციით დამთავრდა. მოედნის ყოველი კუთხიდან გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები და მეგობრული სურვილები საბჭოთა მეომრებისადმი.

გამოხმაურება ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ჯოუ ენ-ლაის წინადადებაზე

პეკინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საგაზეთოს ცნობით, ავსტრალიის ყოველკვირეულმა გაზეთმა „ტრიბუნმა“ მხარი დაუჭირა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის წინადადებას აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონის ქვეყნებს შორის, ამერიკის შეერთებულ შტატების ჩათვლით, კოლექტიური მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. გაზეთის სიტყვით, „ეს წინადადება მისაღებია ავსტრალიის მშვიდობის მომხრეებისათვის“.

სარედაქციო სტატიაში „ტრიბუნი“ აცხადებს: „ისევე, როგორც ევროპაში, მშვიდობა აზიაში და წყნარ ოკეანეზე შეიძლება განმტკიცდეს მხოლოდ იმ პაქტის დაბმარებით, რომელიც უშიშროებას უზრუნველყოფს ყველასათვის. პაქტები, რომლებიც შეიკვეს ზოგიერთ ქვეყანას და სხვებს კი გამორიცხავენ, სრულიადაც არ უწყობენ ხელს უშიშროების განმტკიცებას, არამედ საფრთხეს უქმნიან მას. გარდა ამისა, ასეთი პაქტები მეტად მძიმე ფინანსურ ტვირთს აკისრებენ მათს მონაწილეებს“.

„ტრიბუნი“ გმობს ავსტრალიის მთავრობას, რომელსაც არა სურს ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. გაზეთი პროტესტს აცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მტრულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის წინააღმდეგ.

ახალი ზელანდიის ყოველკვირეული გაზეთი „პიპლს ვოისი“ სარედაქციო სტატიაში აგრეთვე დადებით შეფასებას აძლევს ჯოუ ენ-ლაის წინადადებას. გაზეთი წერს, რომ ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობა შეუფერება ახალი ზელანდიის ხალხის ინტერესებს.

საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს დელეგაცია საბჭოთა კავშირში

თბილისს ეწვია საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს დელეგაცია, რომელიც სტუმრად იმყოფება სსრ კავშირში. დელეგაციის წევრებმა გაიცნეს საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობა და ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა. დელეგაცია იყო სადისპეტჩერო პუნქტში, სადაც ხორციელდება ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის ავტომატური მართვა.

დელეგაციის მეთაურმა ემანუელ მაიოლმა მადლობა გადაიხადა ამისათვის, რომ დელეგაციას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა რესპუბლიკის ენერგეტიკულ მეურნეობას და მის ეკონომიკას, აგრეთვე გულითადი მიღებისათვის.

31 აგვისტოს საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს დელეგაცია ბაქოს გაემგზავრა.

ბაკო, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ თბილისიდან ჩამოვიდა საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს დელეგაცია ბ-ნ ემანუელ მაიოლის მეთაურობით.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ ბაქოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. აბდულრაგიმოვი, აზერბაიჯანის სსრ ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოადგილე რ. რახმანოვი, „აზნერგოს“ მმართველი ა. პოპოვი, რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობისა და ენერგეტიკის საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

თბილისში ჩამოვიდა ავსტრიის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია

1 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ავსტრიის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო პალატის პრეზიდენტი, პარლამენტის დეპუტატი იოზეფ შტრომერი მეთაურობს.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ვ. მირიანაშვილი, მ. ბუჯიაშვილი, ს. ვარეიშვილი, მ. დოლაბერიძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა თანამშრომლები.

დელეგაციის წევრები რამდენიმე დღეს დაჰყოფენ საქართველოში და გაეცნობიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს. (საკდესი).

მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციული ბინა—ინფორმაციული ცენტრი

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება მარგანეცის ქალაქი ჭიათურა. ე. ნინოშვილის ქუჩაზე დამთავრდა მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა. ეს სახლი ულამაზესია ჭიათურაში. მშენებლობა 2,5 მილიონ მანეთამდე დაჯდა. აქ მოთავსდება მარგანეცის ტრესტის სამმართველო ყველა განყოფილება. შენობის პროექტის ავტორია არქიტექტორი ზ. მინდორაშვილი.

სურათზე: მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციული შენობა.

ფოტო ი. ლიუ და-შენისა.

სპორტის ამბები

გეტებორგის საზღვანთაშორისო საჰაერაკო ტურნირზე

გეტებორგი, 31 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). მეათე ტურში ყაიმით დამთავრდა ილივიჩკისა და ბრონშტეინის, პეტროსიანისა და ბისჰაიერის და საბო-პილნიკის პარტიები. ნაიდორფმა არადამაკმაყოფილებლად გაითამაშა ძველინდური დაცვა სლიფასთან და მეოცე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო. ფუდერერმა მოუგო შტალბერგს, უნციკერმა — გიმარს, პენრ — დონერს.

გელერმა კარგად გაითამაშა დებიუტი და ერთგვარი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა პარტიაში პასმანთან, მაგრამ შემდეგში ლუბიერის ფლანგზე წარუმატებელი მანევრით უპირატესობა დაკარგა. 22-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. სასკეიმ, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა რაბარს, დებიუტში კარგი პოზიცია მიიღო. პარტია გადადებულია სპასკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. კერესს რთული დაბოლოება აქვს მედინასთან. მხარეთა შანსები დაახლოებით თანასწორია.

გეტებორგი, 31 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გათამაშდა დაუმთავრებელი პარტიები. საბო თამაშის განუახლებლად დარჩა პანოს.

სულ რამდენიმე სვლა გაკეთდა სპასკი-რაბარის პარტიაში. გაიმარჯვა სპასკიმ. ბრონშტეინმა გაანაღდა თავისი უპირატესობა, რაც მას შტალბერგთან პარტიაში ჰქონდა და გამარჯვება მოიპოვა. სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაწერა პეტროსიანმა, რომელმაც მედინას მოუგო. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა კერეს-მედინას და ნაიდორფ-უნციკერის პარტიები. პილნიკმა კარგად გამოიყენა სლიფას შეცდომები და პარტია მოიგო. დაუმთავრებელი დარჩა გიმარ-შტალბერგის პარტია.

ათი ტურის შემდეგ წინ არის ბრონშტეინი (სსრ კავშირი) — 8 ქულა 10 შესაძლებელში.

გროსმაისტერი ი. ბოლდარევსკი.

მილანში ჩავიდა საბჭოთა ფეხბურთელების გუნდი

რომი, 1 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს საბჭოთა კავშირის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი მილანში ჩავიდა, სადაც 4 სექტემბერს ითამაშებს იტალიის გუნდ „მილანთან“. ვაგზალზე საბჭოთა სპორტსმენებს შეხვდნენ სასპორტო საზოგადოება „მილანის“ და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, აგრეთვე რამდენიმე ასეული იტალიელი სპორტსმენი და მილანის მცხოვრებნი.

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

ქუთაისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). შეჯიბრების მეექვსე დღეს, 31 აგვისტოს თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელი ქალები შეხვდნენ ტარტუს „კალევის“ გუნდს. შეხვედრა მოიგეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებმა ანგარიშით 46 : 40. ეს თბილისის კალათბურთელ ქალთა ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაა. მოსკოვის „სტროიტელთან“ ერთად თბილისის კალათბურთელი ქალები იყოფენ მეორე და მესამე ადგილს. წინანდებურად პირველ ადგილზეა გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის „ბურევესტნიკი“.

საინტერესოდ მიმდინარეობდა მოსკოვის „სტროიტელისა“ და „მეტალურგის“ ქალთა გუნდების შეხვედრა. ანგარიშით 44:40 გაიმარჯვეს „სტროიტელის“ კალათბურთელებმა.

ქალთა დანარჩენი გუნდების შედეგები ასეთია: მოსკოვის „ბურევესტნიკი“ — კიშინიოვის „დინამო“ 88:38, მოსკოვის „დინამო“ — ქუთაისის „ეალგარისი“ 49 : 48, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — ერევნის „ბურევესტნიკი“ 80:49.

თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდმა დამარცხება განიცადა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის კალათბურთელებთან შეხვედრაში ანგარიშით 75:97. ამის მიზეზი იყო დაცვის სუსტი თამაში. თბილისელებმა ვერ გამოიყენეს 27 საჯარიმო.

ვაჟთა დანარჩენი გუნდების შედეგები ასეთია: რიგის ოფიცერთა საოლქო სახლი — მოსკოვის „სპარტაკი“ 94:65, მოსკოვის „დინამო“ — კიევის ოფიცერთა საოლქო სახლი 83:65, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — სვერდლოვსკის გუნდი 90 : 49, ქუთაისის „ეალგარისი“ — ტარტუს „კალევი“ 60:52.

ვ. ჯაფარიძე.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

სტალინო. 31 აგვისტო. მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე სტალინოს „შახტორისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0 : 0.

* * *

პირველ სექტემბრამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით გუნდების მდგომარეობა ასეთია: ჩემპიონატს ლიდერობს მოსკოვის „დინამო“ (20 თამაშიდან 32 ქულა). მეორე ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი“ (18 თამაშიდან 26 ქულა), მესამეზე — ცდსა (18 თამაშიდან 26 ქულა).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოს სხდომა

ჰელსინკი, 31 აგვისტო. (საკდესი). საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე განხილულ იქნა კავშირის აღმასკომის ახალ წევრთა საკითხი შვეიცის, თურქეთისა და ლიბანის წარმომადგენელთა ნაცვლად, რომლებიც აღმასკომიდან გადიან. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ საბჭომ გადაწყვიტა ურჩიოს კონფერენციას, აირჩიოს კავშირის აღმასკომში ჰელიასი (ფინეთი), პიზანელი (იტალია). მიხაილოვი (სსრ კავშირი), მული (ერაყი) და სანანაიკე (ცეილონი). ჰელიასის კანდიდატურა დაასახელეს სსრ კავშირისა და სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენლებმა.

საბჭოს სხდომის ბოლოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ნ. ა. მიხაილოვმა გააკეთა განცხადება, რომ საბჭოს პასუხი არ გაუცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის წერილზე საპარლამენტთაშორისო კავშირის წევრად ამ ჯგუფის მიღების შესახებ. მაგრამ განცხადების გამო დისკუსია არ გახსნილა.

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია კანადაში

რეჯაინა, 30 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციამ გუშინ დაიწყო სასკაჩევანის პროვინციის სოფლის მეურნეობის გაცნობა; ეს პროვინცია კანადაში ხორბლის ძირითადი მწარმოებელია. აქ იღებენ მთელი კანადის ხორბლის 60-მდე პროცენტს; აქ ხორბალს უკავია 15 მილიონი აკრი მიწა. სასკაჩევანში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 800 ათასი სული მოსახლეობის 55 პროცენტი.

საბჭოთა დელეგაციას ახლავან კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ჩეგნონი, სასკაჩევანის სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოლტი, პროვინციის კავშირგაბმულობის მინისტრი კუზიაკი, პროვინციის პარლამენტის წევრები და კანადისა და სასკაჩევანის პროვინციის სოფლის მეურნეობის სამინისტროთა სპეციალისტები.

დილით დელეგაცია ეწვია პიტერსონის ფერმას 35 მილზე ქალაქ რეჯაინის სამხრეთით. ფერმის ფართობი უდრის 4 ათას აკრს, აქედან მუშავდება 2.500 აკრი. ფერმაში ხორბალი წლის დათესილია 800 აკრი და ამდენივე ანეულია მომზადებული ხორბლის დასათესად მომავალ წელს. ხორბლის საშუალო მოსავალი პიტერსონის ფერმაში აკრზე 20-25 ბუშელია.

ნაშუადღევს დელეგაციამ გაიცნო ჰიბნერის ფერმა ქალაქ უეიბორნის ახლოს, სადაც ძირითადი სათესი კულტურებია ხორბალი და საზეთე სელი. ხორბლის აგროტექნიკა ჰიბნერის ფერმაში პიტერსონის მიერ გამოყენებული აგროტექნიკის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ პიტერსონი ანეულს საგაზაფხულო ხორბლისათვის გაზაფხულზე ხნავს, ჰიბნერი კი მეზოდგომაზე, მოსავლის აღებისთანავე. ჰიბნერს ნიადაგში არ შეაქვს სასუქები, მაგრამ სარეველა, ბალახებთან სპრძოლველად ფართოდ იყენებს ქიმიურ საშუალებებს და ამ მიზნისათვის ხმარობს ტრაქტორის მფრქვეველებს.

დელეგაციის წევრები დაწვრილებით ესაუბრნენ ფერმერებს პიტერსონსა და ჰიბნერს ხორბლის ადგილობრივი აგროტექნიკის, მექანიზაციისა და მეცხოველეობის საკითხებზე. ფერმერებმა აღნიშნეს მათი მოსავლის გასაღების სიძნელეები.

საღამოს ქალაქის საუკეთესო სასტუმროში სასკაჩევანის პროვინციის მთავრობამ სადილი გამართა საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ სასკაჩევანის პროვინციის მთავრობის პრემიერ-მინისტრი დუგლასი, კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრი გარდინერი, პროვინციის ფინანსთა მინისტრი ბერტონი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოლტი, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი სტერდი, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეთა მინისტრი მაკინტოში, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბენტლი, შრომის მინისტრი უილიამსი, განათლების მინისტრი ლოდი, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი დარლინგი, კავშირგაბმულობის მინისტრი კუზიაკი, პროვინციის საკანონმდებლო კრების სპიკერი ჯონსტონი, ახალი შოტლანდიის პროვინციის მთავრობის შრომის მინისტრი ნანი, ფერმერთა ადგილობრივი კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, კანადისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრმა გარდინერმა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის სადღეგრძელო და თქვა: „მივესალმებით ჩვენს სტუმრებს ამ ქვეყნიდან, რომელიც სამშობლოა ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა, რომლებიც ჩვენში, კანადაში მოგვყავს... ვადღეგრძელებ რა სსრ კავშირს — მსოფლიოს უდიდეს ქვეყანას ტერიტორიით და ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანას მოსახლეობით, — მსურს ამაყოფილება გამოვთქვა ამის გამო, რომ ჩვენ მოკავშირეები ვიყავით წარსულ ომში... ჩვენ დიდად ვაფასებთ ზოგიერთი ჩვენგანის მიწვევას საბჭოთა კავშირში. ჩვენს ქვეყნებს შორის დელეგაციების გაცვლა შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირისა და კანადის ხალხთა ხანგრძლივი მეგობრობა და ხელსაყრელი იქნება ამ ხალხებისათვის... ვადღეგრძელებთ რა სსრ კავშირს, ჩვენ ვსვამთ მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის სადღეგრძელოს“.

ქალაქ რეჯაინის საბელთა დელეგაციას მიეალმა მერის მოადგილე რობინსონი. „ჩვენ,— თქვა მან, — დიდი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს ვხვდებით ძმურად, მშვიდობით აღსავსე გულით... დარწმუნებული ვართ, რომ მათი ჩამოსვლა დაეჩქარებს იმ დროის მოახლოებას, როცა ყველა ხმალი სახნისად გადაკეთდება“.

სასკაჩევანის პროვინციის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა დუგლასმა თქვა: ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ გულთბილ მიღებას, რომელსაც სასკაჩევანის ხალხი საბჭოთა დელეგაციას უწყობს, და იმ ფაქტს, რომ ჩვენი ხალხი ამ დელეგაციის იმედია როგორც კეთილი ნების ელჩებს. დუგლასმა სთხოვა საბჭოთა დელეგაციას გადასცეს სსრ კავშირის ხალხს, რომ კანადელი ხალხი ესწრაფვის მშვიდობასა და უშიშროებას მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. მაკეევიჩმა სასკაჩევანის პროვინციის მთავრობას მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხისაგან კეთილი სურვილებისათვის. ჩვენ ერთსულოვნად ვუერთდებით კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრის გარდინერის მოწოდებას ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების შესახებ, კანადასა და სსრ კავშირს შორის დელეგაციების გაცვლის გაძლიერების შესახებ, თქვა ვ. მაკეევიჩმა. ჩვენს ქვეყანაში, განაგრძო მან, იმაზე უფრო მშვენიერი სიტყვა არ არის, ვიდრე სიტყვა „მშვიდობა“, და იმაზე მეტი საძულველი სიტყვა არ არის, ვიდრე სიტყვა „ომი“. ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ 50 წელიწადში სამი გამანადგურებელი ომი გადაიტანა და იცის მშვიდობის ფასი. ათ წელიწადში. რაც მშვიდობის დამყარებიდან გავიდა, საბჭოთა კავშირში შესრულებული უდიდესი აღდგენითი მუშაობა. ახლა ჩვენი ხალხი აღფრთოვანებით ასრულებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდეს პროგრამას.

ვ. მაკეევიჩმა მშვიდობა და აყვავება უსურვა შრომისმოყვარე კანადელ ხალხს.

ვენაში ჩამოვიდა ავსტრიის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია

ვენა, 31 აგვისტო. (საკდესი). ავსტრიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინიციატივით ვენაში ჩამოვიდა ავსტრიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი, ბანკის ინიციატორ ალბერტ ბერგერის ხელმძღვანელობით. ჯგუფი ეწვია ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, ალბანეთს, ბულგარეთ-ალბანეთ-ჩეხოსლოვაკიის ბანკებს, ეწვია